745/2ᲐᲚ 11585

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 11 (1346) | 7-13 აპრილი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპარლამენტო პარადოქსები

ვინც რა უნდა თქვას და, ჩვენი პარლამენტი ნამდვილად გამორჩეულია—

სად, რომელ პარლამენტს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც „არჩევის" დღიდან (რამდენიმე თვის წინ) მოყოლებული, არცერთ სხდომას არ დასწრებია! (მიუხვედრელთათვის: ლაპარაკია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეზე ბატონ ასლან აბაშიძეზე). და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ეს ფაქტი „შეუმჩნეველი" რჩება მთელ პარლამენტს დიდიან პატარიანად (აქ რომელიმე კეთილი ენა იტყოდა, შემჩნევით როგორ არ ამჩნევენ, მაგრამ არ იმჩნევენ, მდგომარეობის გამწვავებას ერიდებიანო. ღმერთი, რჯული, მდგომარეობის გასამწვავებლად არც ჩვენ ვამბობთ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ დავაფიქსირეთ, ის ფაქტი, რომ არის ასეთი თანამდებობა...)

* * *

რომელ პარლამენტს აქვს ცალკე დემოკრატიული ალმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი; ცალკე პოლიტიკური ანალიზისა და ინფორმაციის განყოფილება; ცალკე საინფორმაციო ჯგუფი?!(აქ რომელიმე ბოროტი ენა იტყოდა, კი ბატონო, ინსტიტუტიც ჰქონდეს, განყოფილებაც და ჯგუფიც, მაგრამ, ჯერ, ვაითუ ხელს უშლიან ერთმანეთს მუშაობაში, და მერე, ნიადაგ კვორუმის მაძიებელ, ნიადაგ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ, პოლიტიკური მოვლენების შესახებ ნიადაგ დე-ფაქტოდ შემტყობ პარლამენტს რატომღაც არაფერში რომ არ ეტყობა ეს ამხელა „ალმშენებლობა-ანალიზ-ინფორმაციულობა"?!)

* * *

სად, რომელი სკოლის მოსწავლე გააცდენდა დაუსჯელად იმდენ გაკვეთილს, რამდენ სხდომასაც ჩვენი რჩეულები აცდენენ?! (არაფერს ვამბობ მუშის, ექიმის, მასწავლებლის და საერთოდ, ყველა არადეპუტატის მიერ სამსახურის მსგავსი გაცდენების მოსალოდნელ შედეგებზე).

* * *

სად, რომელი პარლამენტის დეპუტატები იღებენ იმგვარად ხელფასს ტელევიზორის ყურებაში, როგორც ჩვენი დეპუტატები?! (ხომ მიგიქცევიათ ყურადღება, რა ამაყად გამოაცხადებენ ხოლმე, ტელევიზორში ვუყურებდი სესიას, და ეს ამბავი რომ ვნახე, მაშინვე მოვირბინეო).

* * *

ბოროტმა ენამ ასეთი რამეც შეიძლება თქვას: სესიაზე (სამსახურში) მისასვლელად ალბათ იმიტომაც ვერ იცლიან ეს ძალოცვილები, სხვაგანაც რომ მსახურობენ, რატომ არ შევა პარლამენტი მათს მდგომარეობაში, რატომ არ აუკრძალავენ კანონით შეთავსებასო

. უკრძალავენ, როგორ არ უკრძალავენ, აბა, მეტს რას აკეთებენ, ლამის ყოველ სხდომაზე დეპუტატის სტატუსთან დაკავშირებით ამ შეთავსება-შეუთავსებლობის გამო არ იმართება მთელი ბატალიები?!

არადა, რა არის საკამათო-გასარჩევი?! განა თავიდანვე, არჩევნების წინ მიღებული საარჩევნო კანონი არ კრძალავდა დეპუტატის სხვა ადგილზე მუშაობასაც?!

კრძალავდა, მაგრამ...

* * *

და გვაქვს კიდეც, როგორც ითქვა, გამორჩეული პარლამენტი...

ფელიქს კოჭიაშვილი




ლოგიკა: ვინც მუშაობს, ჭამს. ვინც არ მუშაობს, ისიც ჭ...

# სანთელ-საკმეველი

ამ ბოლო დროს ადგილი აქვს 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის ცალმხრივ შეფასებას. ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს რა ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკას, მის ხელმძღვანელთა პოზიციას ეროვნულ მოძრაობაში, 9 აპრილს დაღვრილ სისხლს მიიჩნევს უაზროდ. ამ დროს არცთუ იშვიათად ამბობენ იმასაც, რომ ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებიც დაადგნენ დამოუკიდებლობის გზას, გაგვასწრეს საერთაშორისო აღიარების საკითხში და ამასთან ყველაფერს ამას მიაღწიეს სისხლისღვრის გარეშე.

ასეთი შეფასება 9 აპრილის მოვლენებისა გარკვეულწილად ჩრდილს აყენებს დაღუპულთა თავგანწირვას, შემთხვევით ხასიათს აძლევს მათ იმღამინდელ ყოფნას რუსთაველის პროსპექტზე. ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება და დაღუპულთა სულების მიმართ უპატივისმცემლობასაც ნიშნავს.

ძნელია ანუგეშო დაღუპულთა ოჯახები, მაგრამ ნურც ტკივილებს გავუორმაგებთ იმის აღნიშნვით, რომ მათი დედები და მამები, დები და ძმები, მეუღლეები და შვილები იმ ღამეს შემთხვევითობისა და გაუგებრობის მსხვერპლნი შეიქმნენ. მითუმეტეს ნუ შევეცდებით იმის მტკიცებას, რომ იმ ღამეს დაღვრილი სისხლი უაზრო იყო.

მიგვაჩნია, რომ 9 აპრილს დაღვრილ უმანკო სისხლს საქართველოსათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ფაქტობრივად იმ ღამეს, როცა უიარაღო ხალხი არ შეუშინდა მტრის ჯარს, გამოჩნდა, რომ ქართველებში აღსდგა ის მამაცური სული, რისი წყალობითაც გამოიარა ისტორიის ქარტეხილები საქართველომ. 9 აპრილის ღამემ აჩვენა, რომ საქართველო მოემზადა დიდი ბრძოლისა და თავისუფლებისათვის. განა ამას არ გამოხატავდა და განა უკვალოდ ჩაივლის განსვენებული მერაბ კოსტავას სიტყვები იმ ღამეს: „დიდგორის შემდეგ უმნიშვნელოვანესი წამი უდგება საქართველოს"! მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებაც ხომ 9 აპრილის ტრაგედიამ იმით მიიპყრო, რომ იმ ღამეს იური როსტის სიტყვებს თუ გავიმეორებთ — რუსთაველის პროსპექტზე იდგა ხალხი და არა ბრბო. ამის არც დავიწყება შეიძლება და არც სხვანაირად შეფასება.

ისიც კარგად გვესმის, რომ 9 აპრილის ამბებს ბოლომდე სწორი განვითარება არ მიეცა და დღეს ასე მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს სხვა თვალით შევხედოთ ამ ტრაგედიაში ჩვენი ხალხის მიერ გამოჩენილ თავგანწირვასა და მამაცობას. პატივი მივაგოთ დაღუპულთა სულებს და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თავისუფლების გზა საკუთარ სისხლზე გადის. იმის იმედიც არ მოვიშალოთ, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

მიხეილ მახარაძე

# აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს

ბატონო ასლან!

ამგვარი მომართვა არც ჩემი მოგონილია და არც ახალია. კრიტიკულ ჟამს ასე მიმართავენ უმაღლეს ხელისუფალთ. არც თუ იშვიათად, მიმართვის ავტორები რეპრესიებს ვერ ასცდებიან... განგებამ ინება თუ ვითარებამ განაპირობა, მე — მაღალმთიანი აჭარის ერთ პატარა სოფელში დაბადებული კაცი, აჭარის უმაღლეს ხელისუფალს თქვენი პოლიტიკის მკაცრ შემფასებლად მოგევლინეთ. მართალია ჩემი მხრიდან თქვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ერთობ მკაცრია, მაგრამ ასევე მკაცრია სინამდვილე, რომელსაც ვეხებოდი ჩემს არაერთ წერილში. არც იმას დავმალავ, რომ თქვენთან მიმართებაში ჩემი ტონი იქნებ ყოველთვის არ იყო გამართლებული, მაგრამ რას ვიზამთ, ადამიანები ვართ და ამდენად ცოდვილნი. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ არასოდეს დამირღვევია ტაქტი და თქვენი პიროვნებისათვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია.

მას შემდეგ, რაც ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები და თქვენ როგორც პარლამენტის წევრი, მაინც არ ჩამოხვედით თბილისში, ამით უფრო საჩინო გახდა თქვენი მისწრაფება განკერძოებისადმი. ეს საბოლოოდ დადასტურდა აჭარაში რუსეთის თავდაცვის მინისტრის „ვიზიტის“ ფაქტის შეფასებაში, როცა დიამეტრულად გაიყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და თქვენი პოზიცია.

ვფიქრობ, ამით დამთავრდა ერთი ეტაპი თქვენს პოლიტიკურ მოღვაწეობა? და დაიწყო მეორე, რომელიც კარ[illegible] არაფერს უქადის არც აჭარას და [illegible]ც სრულიად საქართველოს.

[illegible] ახალი ეტაპის დაწყება უმალ გამო[illegible]ატა იდეოლოგიურ-ინფორმაცი[illegible] ბრძოლით, რის საბაბიც გახდა ოპ[illegible]ონერთა გაზეთის — „საქართვე[illegible] კარიბჭის“ (№2) პუბლიკაციები.

[illegible]ეთ „აჭარისა“ და აჭარის ტელევი[illegible]ს მიერ წამოწყებულ ამ კამპანიაში, კომპარტიის რაიკომების ინკუბატორებში გამოჩეკილ — გამოზრდილი და ახლა თქვენი ერთგული დამცველები გვიკიჟინებენ, რომ კრიჭაში ვუდგევართ აჭარის ხელისუფლებას, მეცნიერებაში ჩვენი შესაძლებლობანი ამოვწურეთ, კარიერიზმით ვართ დაავადებული და ვიბრძვით მუსლიმანური რელიგიის წინააღმდეგ...

ამასთან დაკავშირებით, ჩემი მხრიდან საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი რამის დაზუსტება.

აჭარის ხელისუფლებისადმი ჩემი „კრიჭაში ჩადგომა“, რაც მართალია, მის სათავეში თქვენი მოსვლიდან იწყება. იმის მიუხედავად, რომ თქვენ ხელისუფლების სათავეში ორივეჯერ კონსტიტუციის უხეში დარღვევით მოხვედით, რამდენიმე თვის განმავლობაში, გარკვეულ მოსაზრებათა გამო თავს ვიკავებდი ჩემი აზრის გამოთქმაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენმა პოლიტიკამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, სწორედ აქედან დაიწყო ჩემი „კრიჭაში ჩადგომაც“.

პირადზე არას ვიტყვი, მაგრამ მუსლიმანურ რელიგიასთან დაკავშირებით აღვნიშნავდი, რომ მე ვებრძვი არა რომელიმე რელიგიას (შეიძლება ამგვარ რამეს აკეთებდეს ნორმალური ადამიანი?), არამედ აჭარის საერთო ცხოვრებაში ისლამის ჩართვას, ისლამის ფაქტორის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას. ეს კი სულ სხვა რამაა.

თქვენ, ბატონო ასლან, არაერთხელ გითქვამთ, რომ მინარეთი მეჩეთის აუცილებელი ატრიბუტია. ვინმე დავობს ამაზე? მაგრამ, როცა ვეებერთელა მინარეთი შენდება ბათუმში ქართველი საზოგადოებრიობისაგან მალულად, დაჩქარებულ ტემპში, სხვისი სახსრებით, 40-მდე ახალგაზრდა თურქეთში იგზავნება უმაღლეს სასულიერო განათლების მისაღებად და ამასთან მუსლიმანი მისიონერები განუკითხავად ეწევიან საეჭვო პროპაგანდას აჭარის რაიონებში, განა ეს შემაშფოთებელი არაა?! სასაცილოა ისიც, რომ ჩემგან ისლამს იცავენ კომპარტიის არცთუ მთლად ყოფილი აქტივისტი ათეისტები. სხვათა შორის, თავის დროზე ისლამის ასეთი „გულშემატკივრებისაგან“ უხდებოდა თავის დაცვა ჰაიდარ აბაშიძესაც.

აჭარის ტელევიზიასა და გაზეთ „აჭარაში“ „მაკრიტიკებენ“ და რაღაც დიდ „საიდუმლოებებს“ ამბობენ ჩემს შესახებ; მართალიც რომ იყოს, განა თვით ამ საიდუმლოების გამთქმელის არაკაცობაზე არ მეტყველებს უპირველესად? ჩემს „ოპონენტთაგან“ ზოგიერთს ისეთი წარსული აქვს, რომელთაც წესითა და რიგით საზოგადოების წინაშე საჯაროდ გამოსვლის პირი არც უნდა ჰქონდეთ. სწორედ ზოგიერთი ასეთია თქვენი მარჯვენა ხელი და თუ ფეხი დაგიცდათ შეიძლება თქვენი ისეთი საიდუმლოება გასცეს, ჩემი, თუმცა მოგონილი, მასთან ტკბილ ზღაპრად მოეჩვენება კაცს.

ბატონო ასლან! თქვენს ხშირ გამოსვლებში გიყვართ ლაპარაკი ბრძოლის პოლიტიკურ ხერხებზე, დემოკრატიაზე, ოპოზიციონერებთან შესაძლო თანამშრომლობაზე და ა.შ. მაგრამ თქვენი საქმე სულ სხვას ადასტურებს.

აჭარის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომრების არჩევისას, ერთერთი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურად ოპოზიციამ წამოაყენა პერსპექტიული მეცნიერი ახალგაზრდა პოლიტიკოსი. თქვენ კი ამ დროს კუთხურობის(!) მოტივით თქვენთვის სასურველი „მრგვალ მაგიდელი“ გაიყვანეთ. თქვენგან უგულებელყოფილი ოპოზიციონერი კანდიდატი კი დღეს უკვე ცნობილი მეცნიერი და შესაძლებელია ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორია საქართველოში. აი, ნიმუში თქვენი ოპოზიციასთან „თანამშრომლობის“ სურვილისა.

თქვენ გასული წლის 11 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეს, საარჩევნო დებულების უხეში დარღვევით, ტელევიზიაში გამოსვლისას მოახდინეთ მოწინააღმდეგე ბლოკის დისკრედიტაცია, სადაც გაერთიანებულნი იყვნენ კუთხის საამაყო შვილები. ამ დღეს არ გეყოთ ხელმძღვანელის ელემენტარული სულგრძელობა, სულსწრაფობა კი წითელ ზოლად გასდევდა თქვენს გამოსვლას.

შეგახსენებთ 1992 წლის მაისის პირველ ნახევარს. დიდი ხნის ნანატრი აჭარის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომა. ოპოზიციამ ცოტა ხნით ჩიხში მოგამწყვდიათ. შემდეგ ტელეეკრანიდან ჩანს თქვენი და თქვენი პოლიტიკური ოპონენტის განმარტოებული და იმედის მომცემი საუბარი. ბოლოს ნანატრი კონსესუსი და 10 დღიანი მორატორიუმი შემდეგი შეთანხმებით: გაგრძელდეს ურთიერთკონსულტაციები და ამ ხნის განმავლობაში არავითარი საჯარო კრიტიკა ერთმანეთის მიმართ.

შვებით ამოისუნთქა ხალხმა. მაგრამ თურმე სადა ხარ? მეორე დღესვე შეკრიბეთ „სახალხო რაზმელები“ რომლებიც საჯაროდ მოითხოვდნენ ოპოზიციონერების ჩაქოლვას ან ყველაზე დიდი შეღავათით აჭარიდან გასახლებას. აი, თქვენეული გაგება დემოკრატიისა და სიტყვის გაუტეხლობისა და შეთანხმებისა.

ყველაფერი ის, რაც დღეს აჭარის ხელისუფლების იდეოლოგიურ ფრონტზე ხდება, ლოგიკური შედეგია იმ პოლიტიკისა, რასაც თქვენ ატარებთ. დღევანდელ „აჭარას“ და აჭარის ტელევიზიას 30-იანი წლების საბჭოთა ეპოქაში გადავყავართ და არც თუ ისე უცხო უნდა იყოს მათთვის ფაშისტური პრინციპები. ეს კი გამოიხატება ურცხვი დემაგოგიის, მოგონილი ბრალდებებისა და დეზინფორმაციის გავრცელებაში. აქ ვერ იტყვით იმას, რომ მე არაფერ შუაში ვარ პრესა და ტელევიზია სახელმწიფო დიქტატისაგან თავისუფალიაო. ჩვენთვის რომ არაა თავისუფალი აღხიძხული საინფორმაციო საშუალებები? ამასთან თქვენივე განცხადება, „აჭარაში ჩემს გარეშე არაფერი ხდება“, სამწუხაროდ, მართალი ყოფილა ბატონო ასლან.

მოკლედ, თქვენი ხელისუფლების იდეოლოგ[illegible] და ისე ამზადებს ს[illegible] აზრს, რომ აღარაფერი უკლია თქვენთვის არასასურველი პიროვნებათა მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადასვლას (ამაზე ცალსახად მეტყველებენ — დეპუტატთა გატაცებანი, მანიფესტაციისა და ოპოზიციონერთა შტაბ-ბინის არაერთგზის დარბევანი და დამნაშავეთა დაუსჯელი პარპაში). თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მალე კუთხის შვილებს, მშობლიურ მხარეში სტუმრობის საშუალებაც კი აღარ მოგვეცემა.

სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავის გაწირვას სულაც არ სჭირდება განსაკუთრებული „გენეტიკური კოდი“. ამას ძალიან კარგად აკეთებდნენ უაზნონიც, რის დასტურად მრავალთაგან თევდორე მღვდელის სახელის დამოწმებაც იკმარებდა.

თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ აჭარას განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. იქნებ სულაც ამის ბრალია, რომ მტერ-მოყვარის ინტერესები ისე გადაწნულია ერთმანეთთან, ძნელია მათი გარჩევა. იქნებ ამიტომაც იქმნება აქ ასეთი არაორდინარული მდგომარეობა, რომლის მოსაგვარებლად გარე-გარე ყურება არას გვარგებს. ეს ძალიან კარგად იცოდა თქვენმა დიდმა წინაპარმა მემედ-ბეგ აბაშიძემ და სწორედ ამიტომაც აჭარის მკვიდრთ რუსეთთან, განსაკუთრებით კი რუს სამხედროებთან დამოკიდებულებაში სიფრთხილისაკენ და ქრისტიან ძმებთან — ქართველებთან მარადიული ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. ბატონო ასლან! ამით ვამთავრებ თქვენდამი ჩემს მომართვას და დასასრულს იმასაც აღვნიშნავ, რომ ჩვენ ახლა იმ მიჯნასთან ვდგავართ, რომლის იქით უფსკრულია. ამ დროს ერთი მოუზომელი ნაბიჯი და კატასტროფა გარდუვალი იქნება. ღმერთმა დაგვიფაროს ამისაგან და რაიმე რომ მოხდეს, ყველა ვაგებთ ამაზე პასუხს, მაგრამ თქვენ, როგორც აჭარის ხელისუფლების ხელმძღვანელი, განსაკუთრებით.

მიხეილ მახარაძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

# მებრძოლის გულისნადები

ამ დღეებში, რედაქციაში გვეწვია დათო ბაგაევი, რომელიც ბრძოლის ველიდან სამკურნალოდ არის ჩამოსული. დათო აგვისტოდან იბრძვის აფხაზეთში. იგი რუსთაველია, ეროვნებით ოსი, სახლში მარტოხელა დედა და უმცროსი ძმა ჰყავს, რომელიც ორიოდე დღის წინ სოხუმში გაიპარა საბრძოლველად ... აი, რა გვიამბო მან.

— ჩვენ კამანთან ვდგავართ. სოფელი სტრატეგიული ობიექტი არ [illegible]ა, მაგრამ მაინც ხშირად განიცდის [illegible] შემოტევებს. აქ ძირითადად [illegible]ანური მოსახლეობაა. გამძლე, ამტანი ხალხია. არც ერთ მამაკაცს არ დაუტოვებია კერა, მხოლოდ ქალები და ბავშვები გახიზნეს. 15-16 მარტს, როდესაც აფხაზურ-რუსულმა კოალიციამ ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელა სოხუმზე, კამანსაც შემოუტიეს. გვბომბავდნენ ჰაერიდან, ისროდნენ ყველა სახის იარაღიდან. ღამით ცა გადაკაშკაშებული იყო ტყვიის ცეცხლისგან. კამანი 10-12 კილომეტრით არის დაშორებული სოხუმიდან, მაგრამ ჩვენ ყურებამდე აღწევდა მძლავრი აფეთქების ხმები. პირველი შეტევის დროს მტერმა შესძლო მთის დაკავება, რომელიც გზას ხსნის დაბა შრომისკენ. დასახმარებლად მოვიდა შავნაბადას ორი ოცეული, რომლებმაც მთა გაწმინდეს. დაგვეღუპა ორი მებრძოლი. აფხაზებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.

მე აგვისტოდან ვარ აფხაზეთში ჩემს მეგობრებთან ბოგდან ბალაკაშვილთან, გიგა ბაზაშვილთან, ვახტანგ ალავიძესთან, ნუგზარ რაზმაძესთან, იგორ შაიშმელაშვილთან ერთად; ჩვენს რაზმში იბრძვიან სოხუმლები გენო ლეთოდიანი და მალხაზ ქორჩილავა. ის, რასაც ახლა გეტყვით, ყველა ჩვენთაგანის გულისნადები და საწუხარია.

ყველაზე მეტად გული იმაზე გვწყდება, რომ ამ ომისადმი ჩვენს ხალხში გულგრილობა შეიმჩნევა. ორი დღეა ჩამოვედი სამკურნალოდ და ლამის ორასჯერ გავიგონე სხვადასხვა ადამიანისაგან:

“რატომ ხართ იქ, რისთვის იბრძვით? „აფხაზეთი გაყიდულია“, „იქ ხულიგნები და ყაჩაღები იბრძვიან“... გული გვიტყდება, როცა ასეთი ხმები გვესმის... კი, ბატონო, იყო შემთხვევები ქურდობისაც, ყაჩაღობისაც, ნარკომანიისაც, მაგრამ ომი-ომია თავისი მინუსებით და პლიუსებით. და მაინც, ეს ერთეული შემთხვევებია. იქ მყოფი მებრძოლები ძირითადში წესიერი და პატიოსანი ბიჭები არიან. მრავალი მებრძოლი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იბრძვის, ოჯახს, ცოლ-შვილს მოწყვეტილი.

მათ ხანდახან ღვთისნიერი ხალხი ეხმარება. აგერ, ახლახან, ბატონ ზურაბ გოგიას ინიციატივით, რუსთავის საწარმოების ხელმძღვანელებმა მატერიალური და ფულადი დახმარება გაუწიეს ჩვენს ოჯახებს. მადლობა ყველას... მაგრამ მათ, ვინც სკეპტიკურად და ირონიულად უყურებს ამ ომს, ვურჩევდი სოხუმში ჩამოსულიყვნენ და იქ თავიანთი თვალით ენახათ ყველაფერი ... ყველას ერთ ქვაბში ნუ მოხარშავთ... ომი გაყიდულიაო, გაიძახიან. არ ვიცი, რას იზრახავენ პოლიტიკოსები, მაგრამ იქ მებრძოლები უკან არ დავიხევთ და გოჯ მიწასაც არ დავთმობთ, ქვეყანა რომ დაიქცეს. ერთი მომენტიც. გუდაუთის რადიოს ქართული რედაქცია დღეში ოთხჯერ გადასცემს ცნობებს, მოგვიწოდებს ქართველ მებრძოლებს, დავყაროთ იარაღი; გაიძახიან ხუნტის დღეები დათვლილიაო...

ჩვენ ეს სასაცილოდ არ გვყოფნის, მაგრამ პროპაგანდა-პროპაგანდაა და ღმერთმა იცის, ვის რა ეჯვს აღუძრავს ხოლმე... მე მაინტერესებს, ნუთუ ჩვენ იმდენი არ შეგვიძლია, რომ აფხაზურ ენაზე გავიდეთ ეთერში და ცოტა ჭკუაზე მოვიყვანოთ გუმისთის იქით მყოფი აფხაზები და არა მარტო აფხაზები. სეპარატისტების მხარეზე, სამწუხაროდ, სხვა ჩვენი „ძმებიც“ იბრძვიან.

მე ცხინვალშიც ვიბრძოდი... ხშირად მთხოვენ შევადარო აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომები. პირველ რიგში, მე იმას ვიტყვი, რომ ეროვნებით ოსი ვარ და ჩემი ხალხის ბედი მაღელვებს. მაგრამ სიმართლის მხარეზე ვიბრძვი. სიმართლე კი დღეს ქართველი ხალხის მხარეზეა და მას ოსმაც, აფხაზმაც და სხვებმაც თვალი უნდა გაუსწორონ.

აფხაზეთიც და სამაჩაბლოც ერთი სცენარით, სატანის სცენარით არის დადგმული, მაგრამ ბრძოლის მასშტაბებშია განსხვავება. სისასტიკე იქაც იყო და აქაც არის, მაგრამ აფხაზეთში ამ სისასტიკის მასშტაბები განუზომლად დიდია. სხვას რომ თავი დავანებოთ, სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის რამდენიმეგზისი დაბომბვაც იკმარებდა, რომელსაც ასეულობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. ახლა გაგრის ტრაგედია გაიხსენეთ...

15-16 მარტის ბრძოლები, ჩემი აზრით, საქართველოს ისტორიის სახელოვანი ფურცლებია. ქართველმა მებრძოლებმა მთელი აფხაზეთის ომის მანძილზე, ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეტევა მოიგერიეს. მტერი გვიტევდა წყლიდან, ჰაერიდან, ხმელეთიდან. ბევრი ხალხი დაიღუპა ორივე მხრიდან. სამწუხაროდ, ამ ბრძოლებს სათანადო ასახვა არ მოჰყოლია...ჩემი ნება რომ იყოს, სოხუმს გმირ ქალაქად გამოვაცხადებდი და ყველა სოხუმელს, ვინც ახლა იქ არის — გმირებად...

...დღეს ქართულ ჯარში სასიკეთო ცვლილებებია. მებრძოლები ძალიან გაგვამხნევა 15-16 მარტის წარმატებამ. საერთოდ, ჩვენი ჯარი ის აღარაა, რაც აგვისტოში იყო. ომმა ბევრი რამ გვასწავლა. ოპერაციები პროფესიულად არის დაგეგმილი, იგრძნობა ხელმძღვანელობაც და დისციპლინაც. და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ გამარჯვებისათვის ვართ შემართულნი და, გჯეროდეთ, გავიმარჯვებთ კიდეც...

ჩაიწერა სანდრო იმერმა



# ნოდარ ნათაძე და გიორგი ზდანოვიჩი

ნოდარ ნათაძე თუ ვინ არის, ამის ახსნა ქართველ მკითხველს არ სჭირდება. თავის დროზე ასეთივე პოპულარული კაცი იყო გიორგი ზდანოვიჩი, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს მას მხოლოდ ისტორიითა და ლიტერატურით დაინტერესებული ხალხი იცნობს და ფართო პუბლიკისათვის მისი ვინაობა ცნობილი არ არის. ამიტომ ჯერ გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილზე) მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით, შემდეგ კი იმ სიუჟეტს გავიხსენებ, რამაც ამ ორ საზოგადო მოღვაწეს შორის პარალელის გავლება მაფიქრებინა.

გ. ზდანოვიჩი, მწერლობაში მაიაშვილის ფსევდონომით ცნობილი, გაქართველებული პოლონელი იყო.

იგი დაიბადა 1855 წელს ქუთაისში . 20 წლის ასაკში მაიაშვილს მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის 6 წლითა და 8 თვით კატორღა მიესაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ კი აეკრძალა სამშობლოში დაბრუნება. გიორგის დედას, მაიას, მოუძებნია გავლენიანი პირები და განუზრახავს იმპერატორისათვის ეთხოვა შვილის განთავისუფლება. დედისათვის გავლენიან ნაცნობებს დახმარება აღუთქვამთ, გახარებულ მაიას ეს ამბავი პატიმარი შვილისათვის უცნობებია. გიორგის შემოუთვლია: „ჩემთვის სასჯელის პატიების შესახებ თუ იმპერატორთან შუამდგომლობა აღძარი და ამის შედეგად გამათავისუფლეს, მაშინ მე სამშობლოში აღარ დავბრუნდები და როგორც შვილს სამუდამოდ დამკარგავო...

გ. ზდანოვიჩი 80-იან წლებში მაინც დაბრუნდა სამშობლოში და მტკიცე და შეუპოვარი ხასიათის წყალობით, დიდი განათლებითა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებულ ლიდერად იქცა. 900-იან წლებში იგი იყო იმჟამად ყველაზე ეროვნული— სოციალ-ფედერაციული პარტიის ერთ-ერთი თავკაცი. ამასთანავე როგორც სანდო და უღალატო პიროვნებას ნდობას უცხადებდა ყველა პარტია, რის დასტური იყო ის ფაქტი, რომ გ. ზდანოვიჩი 1905წ აირჩიეს ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარედ სხვათა შორის ასეთივე მტკიცე ხასიათისა და ზეპარტიული პოზიციის გამო იქნა არჩეული ნ. ნათაძეც როგორც სახალხო ფრონტის ანუ ამ ორგანიზაციის დაარსების დროისათვის ფაქტიურად ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარედ. მას ნდობა გამოუცხადა ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა წარმომადგენელმა)

თუმცა ამ ორი მოღვაწის სახელების ხსენება ამ ნიშნის მიხედვით არ მიფიქრია. მათ მაგალითზე მინდა დავხატო სურათი იმისა, თუ როგორ მეორდება დეტალებში ისტორია და რამდენად თანხვდენილია საქციელი მსგავს სიტუაციაში მსგავსი სულისკვეთების ადამიანებისა.

კრებულში „ლიტერატურის მატიანე“ (თბ. 1982წ) დაბეჭდილია სერგო გერსამიას „მოგონებები ქართველ მწერლებზე“ (პუბლიკაცია გიზო კორძაძისა)

გ. ზდანოვიჩთან დაკავშირებით მოგონებებში ვკითხულობთ: ქუთაისში მოეწყო თათბირი ერობის შემოღების შესახებ. „დარბაზი სავსე იყო თათბირის მონაწილეებით. ხოლო აივანი კი ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა. თათბირს ესწრებოდნენ: კავკასიის მეფისნაცვლის წარმომადგენელი, ქუთაისის გუბერნატორი, ვიცე გუბერნატორი და სხვა მრავალი თანამდებობის პირები. ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ. გამოვიდა სალაპარაკოდ გ. ზდანოვიჩიც. დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა... ჩანს, აივანზე შავრაზმელი ხულიგნებიც ყოფილან მოკალათებულნი. მათ ზდანოვიჩის გამოსვლა არ მოეწონათ, ატეხეს ხმური და ცდილობდნენ ორატორს სიტყვა შეეწყვიტა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მაშინ ერთმა მათგანმა კათედრაზე მდგომ გ. ზდანოვიჩს რევოლვერი ესროლა... ძნელია იმის თქმა, ხულიგანმა ეს საპროვოკაციოდ ჩაიდინა თუ გ. ზდანოვიჩი მართლაც უნდოდა მოეკლა...

მაგრამ, საბედნიეროდ, გიორგის ტყვია ასცდა და სერთუკის კალთის ქვევით დაშვებული ნაწილი გახერიტა. ხალხი აირ-დაირია... ზოგი შეშინდა და გაქცევა დააპირა...

მთელი ამ არევ— დარევის დროს მართალია, დარბაზს სპოლიცია დარაჯობდა ,მაგრამ ის მდუმარებდა და წესრიგის დაცვისათვის კრინტს არ სძრავდა. საფიქრებელია მან წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა. ამიტომ თავს არ იწუხებდა.“

აქ აღწერილი სურათი უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით ძალიან ჰგავს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 1993 წლის 21 თებერვალს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მიმდინარეობის დროს მომხდარ ამბავს.

დარბაზი აქაც გადაჭედილი იყო, ორატორის, ამ შემთხვევაში ნ. ნათაძის გამოსვლას მსმენელი ჯერ ტაშით შემდეგ კი დიდის გულისყურით შეხვდა და ბოლოს პროვოკაცია აქაც განმეორდა, ოღონდ რევოლვერის ნაცვლად ტექნიკის უფრო განვითარებული საშუალება — ბომბი იქნა გამოყენებული. ხალხი აქაც აირ-დაირია, ზოგი შეშინდა და გაქცევა დააპირა...

როგორ მოიქცა ორატორი ნ. ნათაძე ასეთ შემთხვევაში?

ისე როგორც იმ შემთხვევაში მოიქცა მ. ზდანოვიჩი.

ვაგრძელებ ს. გერსამიას მოგონებას: „ამ ვითარებაში გ. ზდანოვიჩი ტრიბუნაზე წარბშეუხრელად დამშვიდებული იდგა. და რაცა ჩოჩქოლი ცოტათი მინელდა, ხმამაღლა წარმოსთქვა:

— მე აქ ვიღაც ხულიგანმა რევოლვერი მესროლა. ტყვიამ სერთუკში გაიაა, ალბათ ეგონა, რომ ეს შემაშინებდა და სიტყვას შევწყვეტდი. ის უბადრუკი შესცდა, მე ტყვია მკერდშიც რომ მომხვედროდა, თუ ლაპარაკის უნარი მექნებოდა, სანამ ჩემს სათქმელს არ დავამთავრებდი, ამ ტრიბუნიდან არ ჩამოვიდოდი...

ამიტომ წამოჭრილ საკითხზე ლაპარაკს კვლავ განვაგრძობ...“

ეს მოგონება რამდენიმე წლის წინ წავიკითხე, გამახსენდა 21 თებერვალს, როცა ფილარმონიის დიდ დარბაზში ვიჯექი და აფეთქების შემდეგ ნოდარ ნათაძის მშვიდ საუბარს ვისმენდი. ბატონ ნოდარს იმ ექსტრემალურ სიტუაციაში ცხადია გერსამიას ნაწერი არ გაახსენდებოდა, შესაძლოა ეს ამბავი სულაც არ ჰქონდეს წაკითხული, უბრალოდ, მსგავსი სულის ადამიანები მსგავს სიტუაციებში ერთგვაროვან რეაქციას ახდენენ...

თუმცა ერთი სხვაობა იმ ინციდენტსა და ამ ინციდენტს შორის მაინც არის. მაშინ დანაშაულის ავტორი ცნობილი იყო და ავტორობას არც მალავდა, დღეს კი მთელი რუსთაველი შეგიძლიათ დაანგრიოთ ისე, რომ რუსთველის ნამდვილი გვარივით სამუდამოდ ინკოგნიტოდ დარჩეთ....

# სახელდახელო ჩანაწერები

## ნოდარ გრიგალაშვილი

## «მამა ვარ, ბიჭო, შენი»...

ზემოთ ვწერდი, ნოდარ ნათაძე თუ ვინ არის, ამის ახსნა ქართველ მკითხველს არ სჭირდება-მეთქი.

არადა, ასე მარტივად არ ყოფილა საქმე. ამას წინათ მრგვალი მაგიდის ყოფილმა დეპუტატებმა (სამეულმა) გამოაქვეყნეს კაი ზორბა მოცულობის წერილი სათაურით — „ვინ ხარ შენ, დოქტორო ნათაძე?“

სამეულმა, როგორც „ღირსახსოვარ“ სამეულებს ჩვეოდათ, კითხვა რომ დასვეს, პასუხს აღარ დაელოდნენ და ადრესატს წიხლიც მიაყოლეს.

არადა, ეს სამი ჯელი სათაურიდანვე ურცხვად ცრუობს. მათ შესანიშნავად იციან, ვინ არის დოქტორი ნათაძე.

ყოველ შემთხვევაში რაკი ნამდვილად სამეულთან გვაქვს საქმე და არა ერთარსების სამსახოვნებასთან, ერთ-ერთ მათგანს ცალკე გამოვყოფ და ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ დოქტორ ნათაძის ვინაობა მან შესანიშნავად უწყის...

ის კაცი ეროვნულ მოძრაობაში ნ. ნათაძემ მოიყვანა.

მერმე ყველასათვის უცნობი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახდა.

გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ, როგორც იმ ხელისუფლების მომხრე, გროზნოს ცნობილი სესიიდან დაბრუნებული, არ ვიცი რაზე და რისთვის, რამდენიმე დღით დააპატიმრეს.

ეს ამბავი ნოდარ ნათაძემ შეიტყო რა, მიადგა იქ სადაც ჯერ არს და დაკავებული სასწრაფოდ პატიმრობიდან გამოაშვებინა.

ახლა ის კაი დედმამიშვილი მომდგარა და გაზეთის ფურცლებიდან ეკითხება, ვინ ხარ შენ, დოქტორი ნათაძეო, თან წიხლებსაც ირტყმევინება...

ერთ ქართულ, რევოლუციის თემაზე გადაღებულ ფილმში ასეთი სიუჟეტია. მარქსის სიყვარულით წარტყვევნილი ახალგაზრდა არამარქსისტს ფეხს ამოჰკრავს.

—მამა ვარ, ბიჭო, შენი, — ისმის კადრში შეურაცხყოფილის ხმა...

## აფეთქება შევარდნაძის თათბირის ჟამს

ასეთი დროა, ბატალური სცენების აღწერაზე გავარჯიშებული ავტორივით, მხოლოდ სროლასა და აფეთქებებზე მიწევს წერა, მაგრამ ამბავი, რომელიც მინდა გადმოვცე, იმდენად არაორდინალურია, ვერ შეველიე და მკითხველსაც მინდა ვაცნობო, თუნდაც გასახალისებლად...

ჯერ პირველი ფაქტის შესახებ, სადაც სახალისო არ არის რა.

17—18 მარტს აფხაზების, ჩრდილოკავკასიელებისა და რუსების სოხუმზე შემოტევისას, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ ჩაფრინდა სოხუმს და პირდაპირ ფრონტის ხაზზე გაამხნევა ქალაქის გმირი დამცველნი.

იმავე დღეს გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მთავარსარდალი სოხუმში თათბირს ატარებდა, როგორც ჩანს, მტერმა მისი ადგილსამყოფელი შეიტყო და იმ შენობის სიახლოვეს რომელშიც · იგი იმყოფებოდა, ჩამოაგდეს ბომბი. საბედნიეროდ, შენობა არ დაინგრა. თათბირის მონაწილენი გადარჩნენ, მაგრამ ვისაც აფეთქების შედეგად შეზანზარებული სახლი და უნახავს და გამაყრუებელი ხმაური სმენია, დამეთანხმება, ასეთ ვითარებაში სიმშვიდის შენარჩუნებას გვარიანი ვაჟკაცობა სჭირდება.

ბატონმა ედუარდმა და თათბირის ყველა მონაწილემ სამომავლო გეგმებზე საუბარი აუღელვებლად განაგრძეს... (მოქილიკეთა საყურადღებოდ, აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტის შესამოწმებლად, შეგიძლიათ ქილიკის ნაცვლად ჩაბრძანდეთ ფრონტის ხაზზე)...

ასეთივე ფაქტი მომხდარა სტალინის ერთ-ერთი თათბირის ჟამს ე.წ. სამამულო ომში ოღონდ ცოტა სახალისო, ანეკდოტური ფინალით.

ვერ დავიბრალებ, პირველწყაროში არ წამიკითხავს, პარლამენტის სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა მიამბო. კრემლის ერთ-ერთ ყოფილ დიდ ჩინოვნიკს — მინდელს მემუარებში უწერიაო, რომ კრემლიდან გერმანელებს' ბომბი ჩამოუგდიათ. კრემლის შენობა, რაღა თქმა უნდა, სტალინის კაბინეტიტურთ, გვარიანად შექანებულა, ფანჯრები ლაწა-ლუწით ჩამსხვრეულა.

ამ დროს სტალინი გენერლებსა და უახლოეს სამოქალაქო პირებს ეთათბირებოდა.

რეაქცია ბომბის ჩამოვარდნისას —

ყველანი ფეხზე წამოხტებიან და საკუთარი სხეულით გადაეფარებიან მსოფლიო პროლეტარიატის მამა-მარჩენალს...

კაბინეტიდან გავარდება მხოლოდ ორი კაცი. სტალინის უერთგულესი და უსაყვარლესი...

1) ანასტას მიქოიანი.

2) ლავრენტი ბერია.

ორივენი ერთმანეთს ჰგავდნენ, ორივე ზღვარდაუდები მასშტაბის გაიძვერა იყო. ერთნაირადაც მოიქცნენ. აკი ზემოთ ვწერდი მსგავსი სულის ადამიანები მსგავს სიტუაციებში ერთგვაროვან რეაქციას ახდენენ მეთქი.

მაგრამ...

ბერიას ტიპის ადამიანებს არავითარი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ფორმულა თუ სენტენცია არ ესადაგება...

ნახევარი წუთის შემდეგ იღება სტალინის კაბინეტის კარი და ყურში ჩაფრენილი ბერია მოათრევს მიქოიანს...

## აფეთქება სტალინის სათათბიროში...

**თუ ზნეობრიობის პრინციპით შევაფასებთ მას, მაშინ ყველა პოლიტიკოსი უზნეოდ უნდა გამოვვეცხადებინა, რადგან სფერო, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ, ძალადობას ემყარება, რაც მორალთან პრინციპულად შეუთავსებელია.**

# პოლიტიკა და ზნეობა

# ზნეობა და სამართლიანობა

## წერილი მეხუთე

## ვახტანგ ერქომაიშვილი

**Ის,** რომ პოლიტიკაში მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამოიყენება უდავო ფაქტია. ამას ადასტურებს როგორც ისტორიული გამოცდილება, ისე თანამედროვე ცხოვრება. მაგრამ ერთია ფაქტი, ხოლო სხვაა მისი შეფასება. დადებითად თუ უარყოფითად უნდა შევაფასოთ იგი? რასაკვირველია, უარყოფითად. ძალისმიერი, ე.ი. არაზნეობრივი საშუალებების გამოყენება უნდა დავგმოთ და გამოვრიცხოთ ადამიანთა ურთიერთობებიდან. მაგრამ შეუძლია კი სახელმწიფოს მათ გარეშე არსებობა? არა, არ შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ თვით სახელმწიფო გავაუქმოთ და მოვსპოთ, რადგან იგი ძალადობას ემყარება. სახელმწიფო ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ძალდატანებას ახორციელებს და მის გარეშე არ არსებობს. თუ სახელმწიფო საზოგადოებისთვის აუცილებელია, მაშინ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც აუცილებელია. გამოდის, რომ ბოროტების დაძლევა და მასზე დამყარება გარდაუვალი ყოფილა საზოგადოების არსებობისა და ნორმალური ფუნქციობისათვის.

კი, მაგრამ ზნეობა? — იკითხავს აღშფოთებული მკითხველი. მაშ რისთვის არსებობს იგი და რა ფუნქცია აკისრია მას საზოგადოებაში? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ უნდა გავითვალისწინოთ მორალის არსი, რომელიც წინა წერილებში დავახასიათეთ. სახელმწიფო არ არის ზნეობის სუბიექტი და მისი საქმიანობის შეფასება მორალურობა-ამორალურობის თვალსაზრისით არ შეიძლება. არ არსებობს ზნეობრივი ან უზნეო სახელმწიფო. იგი არაზნეობრივია იმ აზრით, რომ მისი მოღვაწეობის შეფასება აღნიშნული კატეგორიების მიღმაა. სახელმწიფო მორალზე მაღლა კი არ დგას, არამედ მის ნორმებსა და მოთხოვნებს არ ექვემდებარება.

ეს აზრი რომ ნათელვყოთ დავაზუსტოთ ცნებები „არაზნეობრივი“ და „უზნეო“. ისინი არ ემთხვევა ერთმანეთს. უზნეო (ამორალური) ზნეობრივის (მორალურის) საპირისპიროა. პირველი ბოროტების, ხოლო მეორე — სიკეთის გამომხატველია. არაზნეობრივი (არამორალური) კი არც ერთ მათგანს არ გამოხატავს, ამიტომ მათ არ უპირისპირდება. იგი ისეთ მოვლენას ახასიათებს, რომელიც არც კეთილია და არც ბოროტი. მაგალითად, ბუნებას ხშირად უბედურება მოაქვს ადამიანისათვის — მიწისძვრის, წყალდიდობის, გრიგალის და ა.შ. დროს, მაგრამ მას როგორც ბოროტ ძალას ვერ შევაფასებთ. ანალოგიურია ვითარება ცხოველების მიმართაც, რომელთა ქმედება ზოგჯერ ადამიანისათვის საზიანოა. ბუნება, ცხოველები და სხვა ზნეობრივი ან უზნეო კი არაა, არამედ საერთოდ არ ექვემდებარება მათ და მიეკუთვნება არაზნეობრივი რეალობის სფეროს.

შეიძლება მავანი დაეჭვდეს, რომ მოტანილი მაგალითები ეხება მოვლენებს, რომლებიც ცნობიერებისა და [illegible] წარგანზრახვის გარეშე მოქმედებენ. საზოგადოების სფეროში კი საქმიანობენ ადამიანები, კერძოდ, პოლიტიკოსები მართავენ. ბუნებრივად ისმება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია მათი ზნეობრიობის მიღმა დაყენება? ამით ხომ არ ვამართლებთ მათ ამორალურ ქცევას? ისტორია ხომ იცნობს მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს — დიქტატორს თუ არადიქტატორს, რომელთაც სახელი გაითქვეს თავიანთი უზნეობით და თვითნებობით?

როდესაც პოლიტიკური მოღვაწის დადებით ან უარყოფით შეფასებას ვახდენთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ზნეობრიობის, არამედ სამართლიანობის კრიტერიუმით: რამდენად სამართლიანი იყო [illegible] თავის მოქმედებაში. პოლიტიკოსი უნდა დავგმოთ და გავაკრიტიკოთ არა ზნეობრიობის, არამედ სამართლიანობის ნორმების და პრინციპების დარღვევისათვის. თუ ზნეობრიობის პრინციპით შევაფასებთ მას, მაშინ ყველა პოლიტიკოსი უზნეოდ უნდა გამოგვეცხადებინა, რადგან სფერო, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ, ძალადობას ემყარება, რაც მორალთან პრინციპულად შეუთავსებელია.

პოლიტიკის რეგულირება ხდება არა ზნეობრივი, არამედ სამართლებრივი პრინციპებით და ნორმებით. იგი სამართლის და არა ზნეობის სფეროა, ამიტომ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მაგრამ არა ზნეობრივი ან უზნეო. შესაბამისად ითქმის პოლიტიკოსის შესახებაც.

ახლა გავარკვიოთ სამართლიანობისა და ზნეობის დამოკიდებულების საკითხი. ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა, მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

სამართლიანობა დაკავშირებულია აუცილებლობასთან. ის, რაც აუცილებელია — სამართლიანია. პოლიტიკურად სამართლიანია ის, რაც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს, რაც მათ დასაცავად გარდაუვალია. ავიღოთ ომი, რომელიც სასტიკი და დაუნდობელია მოწინააღმდეგე მხარეებისათვის. იგი არაზნეობრივია, მაგრამ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო. თუ ომი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად მიმდინარეობს, მაშინ სამართლიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში უსამართლო. მაგალითად, ომი აფხაზეთში ჩვენი მხრიდან სამართლიანია, რადგან იგი მიმდინარეობს საქართველოს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, საკუთარი სამშობლოს დასაცავად. მიუხედავად ამისა იგი არაზნეობრივია, რადგან მას ეწირება სრულიად უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის, ბავშვები და მოხუცები როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

სამართლიანი და სამართლებრივი არ ემთხვევა ერთმანეთს. უკანასკნელი ნიშნავს კანონიერს, ე.ი. მხოლოდ იმას, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისია და მისგან გამომდინარეობს. მაგალითად, მობინადრემ არ გადაიხადა ბინის ქირა. სასამართლომ რამდენიმე გაფრთხილებისა და გადავადების შემდეგ გამოიტანა განაჩენი მისი გამოსახლების შესახებ. მობინადრე წვრილშვილიანია, ეკონომიკურად უჭირს და არაფრით არ შეუძლია ბინის ქირის გადახდა. ზნეობა მოითხოვს, რომ გაჭირვებულ მობინადრეს დავეხმაროთ, ჰუმანურობა გამოვიჩინოთ და არ გამოვასახლოთ. კანონი კი საწინააღმდეგოს გვეუბნება. იგი მოითხოვს, რომ ურჩი გადამხდელი (მას არ აინტერესებს მოტივები — თუ რატომ ვერ იხდის მობინადრე ბინის ქირას) დაისაჯოს და გამოსახლდეს ბინიდან, რათა დაცულ იქნეს კანონიერება და აღსდგეს სამართლიანობა. ამ შემთხვევაში კანონიერი სამართლიანია, მაგრამ არა ზნეობრივი.

კანონიერი სამართლიანია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. „სამართლიანი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცნება „კანონიერი“. სამართლიანობა აუცილებლობას გამოხატავს, რომელიც ყოველთვის არ არის კანონით სანქცირებული, ამდენად არ შეიძლება ითქვას, რომ იგი კანონიერია. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს განსხვავებას სამართლიანსა და კანონიერს შორის. ისინი შეიძლება გავაიგივოთ და განვიხილოთ ზნეობასთან მიმართებაში.

სამართლიანობა კანონიერებას ემყარება და გამოხატავს აუცილებლობას. ზნეობა კაცთმოყვარეობას ემყარება და გამოხატავს თავისუფლებას. ისინი არათუ ერთმანეთს არ ემთხვევა, არამედ ხშირად ურთიერთგამომრიცხველნი არიან. სამართლიანი შეიძლება არაზნეობრივი იყოს, ხოლო ზნეობრივი უსამართლო. ზემოთმოტანილ მაგალითებში მობინადრის გამოსახლება ბინიდან სამართლიანია, მაგრამ არაზნეობრივი, ხოლო მისი დატოვება ბინაში ზნეობრივია, მაგრამ — არასამართლიანი.

როდესაც პოლიტიკურ მოღვაწეთა შეფასებას ვახდენთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ პოლიტიკა სამართლის და არა ზნეობის სფეროა. მორალს არ ევალება სახელმწიფოს ფუნქციობის რეგულირება. იგი მასზე ადრე წარმოიშვა და არსებობდა. სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა სამართალი, როგორც მისი რეგულირების აუცილებელი ინსტრუმენტი. სწორედ ესაა სამართლის ძირითადი ფუნქცია. მას სხვა მიზანი და დანიშნულება არ გააჩნია. ზნეობის სფერო კი სულ სხვაა, ამიტომ მისი დანიშნულებაც საზოგადოებაში თავისებური და განსხვავებულია. იგი არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს კაცთმოყვარეობის, სიბრალულის, სიყვარულის, პატივების და ა.შ. კუთხით, რაც დამოკიდებულია პიროვნების სინდისსა და მრწამსზე, მის თავისუფალ არჩევანსა და გადაწყვეტილებაზე. ამიტომ ზნეობის შეფასების სფერო მხოლოდ პიროვნება და მისი საქმიანობის შედეგია.

მაშასადამე, განსხვავებული კრიტერიუმებით უნდა მოხდეს პოლიტიკური მოღვაწის და პიროვნების შეფასება: პირველი სამართლიანობის, მეორე კი — ზნეობის თვალთახედვით. განა პოლიტიკური მოღვაწე პიროვნება არ არის? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი ამავე დროს პიროვნებაცაა. მაგრამ ეს ორი სრულიად განსხვავებული ფენომენია. ერთია, ადამიანი როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც უნდა შეფასდეს მისი საქმიანობის შედეგებით: გაართვა თუ არა მან თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და რამდენად სამართლიანად იქცეოდა იგი. მეორე, ადამიანი როგორც პიროვნება, რომელიც უნდა შეფასდეს მისი სინდის-ნამუსის მიხედვით: მოქმედებდა თუ არა იგი კაცთმოყვარეობის კარნახით და რამდენად აწუხებდა მას საკუთარი სინდისის ხმა. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სფეროებია, ამიტომ მათი განსჯისა და შეფასების კრიტერიუმებიც სხვადასხვაა.

სანიმუშოდ განვიხილოთ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა: იგი როგორც პოლიტიკური მოღვაწე ფასდება მისი სახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო. 16 წლის ჭაბუკმა ჩაიბარა დარბეული და გაჩანაგებული საქართველო, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქების მიერ იყო დაპყრობილი. ქვეყანას ღრღნიდა შინაგანი აშლილობა. არ იყო ერთიანობა. საერთო-ეროვნული ინტერესების ცნობიერება თითქმის ნოლამდე იყო დაყვანილი. დიდი ფეოდალები თავიანთი მამულის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებულნი და ნაკლებად აწუხებდათ სახელმწიფოს ბედი. ბრძენმა მეფემ თავისი ენერგიული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკით თითქმის შეუძლებელი შეძლო. მან გაწმინდა საქართველო მტრებისაგან, გააერთიანა იგი და შექმნა ძლიერი სახელმწიფო. რა საშუალებების გამოყენებით მიაღწია მან ქვეყნის აყვავებას და გაძლიერებას? ცეცხლით და მახვილით. მას დასჭირდა გამუდმებული ომების წარმოება შემოსეულ ურდოებთან. იგი დაუნდობელი იყო გარეშე თუ შინაური მტრების მიმართ; მსტოვართა ინსტიტუტი აიყვანა სახელმწიფოს დონეზე. მტერთან ბრძოლის დროს მიმართავდა მოულოდნელ თავდასხმებს, მოტყუებას, ეშმაკობას, და ა.შ. რითაც მუსრს ავლებდა მას. უდავოა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდები ზნეობის თვალსაზრისით მიუღებელი და დაუშვებელია. ამიტომ ჩვენი დიდებული მეფე, რომელიც მათ მიმართავდა ხომ არ უნდა შევაფასოთ როგორც უზნეო და სისხლისმსმელი? რა თქმა უნდა, არა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკის სფეროა, რომელიც არ ექვემდებარება ზნეობას და არ რეგულირდება მისი ნორმებით და პრინციპებით. აქ საკითხი უნდა დაისვას აუცილებლობის თვალსაზრისით. აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული მეთოდების გამოყენება? სხვაგვარად შეძლო თუ არა მეფეს იმ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში რაიმე სასურველი მიზნის მიღწევა? ცხადია, რომ მიტევებით და შენდობით, კაცთმოყვარეობით და ლმობიერებით არათუ გამარჯვება, არამედ ოდნავი წარმატებაც კი გამორიცხული იყო. მაშასადამე, მეფე იძულებული იყო მათთვის მიემართა. სხვაგვარად მას როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს სრული კრახი მოელოდა. ამიტომ დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა როგორც მიზნის, ისე მეთოდების მხრივ სამართლიანი იყო. აქ მიზანი (სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები) ამართლებს საშუალებებს (ომს, ძალადობას, მოტყუებას და ა.შ.).

სულ სხვა კრიტერიუმებით და ღირებულებებით უნდა მოხდეს დავით აღმაშენებლის როგორც პიროვნების შეფასება. აქ ძირითადია ზნეობრივი პრინციპები და ნორმები. კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, ქველმოქმედება და სათნოება — აი თვისებები, რომელთაც მეფე უხვად აფრქვევდა პოლიტიკური სფეროს მიღმა — ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების დროს. რაც მთავარია, მას როგორც პიროვნებას აწუხებდა თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი შედეგი, რის გამოც განიცდიდა სინდისის ქენჯნას და მიტევებას სთხოვს უფალს. ამის დასტურია მისი „გალობანი სინანულისანი“. იგი ჩამოთვლის თავის ცოდვებს: „თითოეულსა მხეცთაგან მხეცს ვემსგავსე, მრავალგვარსა და მრავალსახესა“. „მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისა შენისათა“ — ჰგოდებს მეფე, რომ დაემსგავსა მხეცს და უმტრო ქრისტიანულ მორალს: „ესენი ვსცოდენ სახარებისა სჯულთა და მცნებათა შენთა შინა“ — აცხადებს იგი. ერთ-ერთ ცოდვად მას მიაჩნია, რომ იპყრობდა მეზობელ ქვეყნებს. „წურბლისა მსგავსად ვერ-მაძღარი სხვათა სოფლის კიდეთა ვეძებდი დასაპყრობლად... ბოროტად გარდავხვდი საზღვართა. შევპრთე სახლი სახლსა, აგარაკი — აგარაკსა და უძლურესთა მოვმხვეჭე ნაწილი მათი და ვილწულ ყოვლად უმეზობლობასა ვითარმცა მარტო ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა“. — მოთქვამს ჩვენი სახელოვანი წინაპარი. იგი მუხლმოდრეკილი მიმართავს ღმერთს და შესთხოვს პატიებას: „მილხინე, ჰოი მეუფეო, მილხინე, და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ მოიხსენებ ძვირთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა. რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, ამაღლებული [illegible] ძალთაგან!“.

ჩვენს წინაშეა ორი სრულიად განსხვავებული სულის მქონე ადამიანი — პოლიტიკოსი და პიროვნება. დავით აღმაშენებელი როგორც პოლიტიკური მოღვაწე სასტიკი და დაუნდობელია. დავით აღმაშენებელი როგორც პიროვნება კაცთმოყვარე და შემწყნარებელია. პირველი სამართლიანია და არა ზნეობრივი. ზოგჯერ არასამართლიანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უზნეო, მეორე კი — ზნეობრივია, ზოგჯერ არასამართლიანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსამართლო.

აღნიშნული დახასიათება პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ იგი იოლად აიხსნება თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას პოლიტიკურ და პიროვნულ ურთიერთობებს შორის. პირველი სამართლიანობა-უსამართლობის, ხოლო მეორე — ზნეობრიობა-უზნეობის სფეროა: შესაბამისად პოლიტიკოსი შეიძლება დახასიათდეს როგორც სამართლიანი ან უსამართლო, ხოლო პიროვნება როგორც ზნეობრივი ან უზნეო. თუ მოხდა მათი აღრევა მაშინ შეფასებებიც უმართებულო იქნება. აღმოჩნდება, რომ ძლიერი და დიდი პოლიტიკოსი უფრო უზნეოდ გამოიყურება, ვიდრე სუსტი პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი უნებისყოფობისა და უნიათობის გამო ვერც სიკეთე დათესა და ვერც ბოროტება.

ჩვენი პოზიცია ხომ არ არის ტირანისა და დიქტატორის გამართლება, დაწყებული ნერონიდან სადამ ჰუსეინის ჩათვლით? არავითარ შემთხვევაში. ყოველი დიქტატორი ჩვენ უნდა შევაფასოთ როგორც პოლიტიკოსი და როგორც პიროვნება სხვადასხვა კრიტერიუმებით. პირველი შეფასდება სამართლიანობით, მეორე კი — ზნეობრიობის პრინციპებით. ნერონი პირად ცხოვრებაში ამრალური პიროვნება იყო, რადგან ეწეოდა აღვირახსნილ და გარყვნილ ცხოვრებას. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, აქ იგი უნდა შევაფასოთ როგორც უსამართლო. ისტორია მას ბრალს დებს არა იმიტომ, რომ იგი ქვეშევრდომებს სჯიდა, არამედ იმიტომ, რომ იგი უდანაშაულო ადამიანებს სჯიდა, თან ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით — არაადამიანური წამებით. ნერონი თავის ცხენს სხდომებს ასწრებდა. პოლიტიკურად ეს დანაშაული ავლენს, ერთის მხრივ ტირანის თვითნებობას (რაც მინდა, იმას გავაკეთებ), ხოლო, მეორეს მხრივ, სენატის უძლურებას, რომ ვერ აღკვეთა სამართლის ელემენტარული ნორმების დარღვევა. სადამ ჰუსეინის როგორც პოლიტიკოსის შეფასებისას ამოსავალი უნდა იყოს არა მისი ზნეობრივი თვისებები (ამ მხრივ უმწიკვლოა თუ არა იგი), არამედ რამდენად სამართლიანი და შორსმჭვრეტელურია მისი პოლიტიკა. ამ სფეროში მან გამოავლინა სრული სიბეცე და უსამართლობა. იგი უსამართლოდ მოიქცა არ მხოლოდ კუვეიტის, არამედ თავისი ხალხის მიმართ. ქვეყნის მმართველი, რომელიც ვერ გათვლის თავისი ქვეყნის და მოწინააღმდეგის სამხედრო ეკონომიკურ შესაძლებლობებს და თავის ხალხს მტრის საზარბაზნე ხორცად გაწირავს, უბრალოდ ცუდი პოლიტიკოსია. და იქ მისი ზნეობრივი სახე არაფერ შუაშია. ეს უკანასკნელი შეიძლება საინტერესო იყოს მისი პიროვნების დახასიათებისას.

ამგვარად, პოლიტიკა სამართლის და არა ზნეობის სფეროა. იგი სამართლებრივი და არა ზნეობრივი უნდა იყოს. შესაბამისად პოლიტიკოსი უნდა იყოს სამართლიანი, მაგრამ იგი ვერ იქნება ზნეობრივი. რაც შეეხება მას როგორც პიროვნებას, იგი შეიძლება იყოს ზნეობრივი ან უზნეო. პოლიტიკოსი, რომელიც სამართლიანია, არ ნიშნავს, რომ იგი როგორც პიროვნება უსათუოდ ზნეობრივია და პირიქით. ზნეობრივი პიროვნება არ გულისხმობს, რომ იგი როგორც პოლიტიკოსი უეჭველად სამართლიანი იქნება.

# ნუ დავივიწყებთ ისტორიის გაკვეთილებს

გურამ ყორანაშვილი

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მითის თანახმად მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ქართველობის წინაშე ასეთი დილემა იდგა: ან რუსეთის იმპერიაში ყოფნა ან ისტორიის არენიდან გაქრობა. ასე რომ, 1801 წლის აქტით ქართველი ერი თითქოს ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. სამწუხაროდ ეს მითი დღესაც კი დიდად სიცოცხლისუნარიანია და თვითონ პოლიტიკოსებს შორისაც არიან პირნი, რომელთაც უყოყმანოდ სჯერათ მისი. მაგრამ დავსვათ კითხვა: განა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მანძილზე ერთი მაგალითიც არსებობს რომ რომელიმე ეთნოსი მოსპობილიყოს? ასეთი მაგალითი არაა, ამდენად თითქოს გამონაკლისად ვრჩებით ქართველები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ჩაგონეს ჩვენი „გადამრჩენელი“ ხალხის დიდი მისია ქართველი ერის გადარჩენის საქმეში.

მაგრამ თუ გვინდა, რომ მართალნი ვიყოთ, მაშინ სწორად უნდა მივუთითოთ მითის ავტორები — რუსთა იმპერატორები პავლე I და ალექსანდრე I, რომელნიც თავიანთ „მანიფესტებში“ აშკარად გახაზავდნენ რუსეთის გადამწყვეტ როლს ქართველობის გადარჩენაში. ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის „მანიფესტში“ ვკითხულობთ, რომ ბოროტების ყველა ძალის შეერთების წყალობით არა თუ თვით ქართველი ხალხი, არამედ მისი სახელიც კი შესაძლოა დედამიწის პირისაგან გამქრალიყო. მისი „იმპერატორებითი უდიდებულესობის“ სიტყვებით რუსის ჯარი აჩერებდა საბოლოო დაღუპვას, რომელიც ქართველობას ემუქრებოდა მტაცებელი და ურჯულო მეზობელი ხალხებისაგან, რომ ეს უკანასკნელი უფსკრულის პირას დგას და მას გადაჩეხვა ემუქრება თუ „სამართლიანი ხელისუფლების“ მძლავრი ხელი არ შეაკავებს მის დაცემას. რასაკვირველია, თუ რუსეთის იმპერატორის სიტყვებს ვირწმუნებთ, რუსეთის იმპერია ქართველი ერის გადარჩენას ცდილობდა სავსებით უანგაროდ, თვით ჩვენი ხალხის გულისათვის, მაღალი, კეთილშობილური გრძნობების კარნახით. „მანიფესტში“ აღნიშნულია: „არა ძალების მომატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა ისედაც მსოფლიოში უვრცელესი იმპერიის საზღვრების გავრცელებისათვის ვღებულობთ ჩვენ თავზე საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს; — ერთნაირი ღირსება, ერთნაირი პატივი და ადამიანურობა გვაკისრებს სალვთო მოვალეობას, რათა ყური მივუგდოთ დამაშვრალთა ხვეწნა-მუდარას და მათი ჭირ-ვარამის ასაცილებლად საქართველოში დავაფუძნოთ მმართველობა, რომელიც განამტკიცებს მართლმსაჯულებას, პირად და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და თითოეულ ადამიანს დაიცავს კანონის მეშვეობით“.

კარგა ხანია დროა, რომ ჩვენი ეროვნული ცნობიერება, პირველ რიგში საისტორიო შემეცნება საბოლოოდ განთავისუფლდეს მონობის კომპლექსისაგან და ისტორიული სინამდვილე დანახულ იქნეს ობიექტურად, თავისუფალი ადამიანის თვალით. რუსეთის იმპერიაში (ცარისტული და ბოლშევიკურ-კომუნისტური ეპოქებისა) ყოფნამ განაპირობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დამახინჯებული სახით წარმოდგენა, არაადეკვატური შეფასებები. აღნიშნულ საკითხს ბევრი ქართველი და რუსი ისტორიკოსი შეეხება, მაგრამ უმეტესობა იოლად უვლიდა გვერდს ოფიციალური იდეოლოგიისათვის საჩოთირო საკითხებს და ყურადღებას ძირითადად იმაზე ამახვილებდა, რაც ზემოაღნიშნულ მითს ამაგრებდა. ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიაში შესვლის ას წელთან დაკავშირებით გამოვიდა მიხეილ ხელთუფლიშვილისა და ზურაბ ავალიშვილის მონოგრაფიები, რომლებშიც ავტორები შეეცადნენ ასე თუ ისე ობიექტურად განეხილათ საკითხი. მაგრამ, რასაკვირველია, ბოლომდე ობიექტურნი ისინი ვერ იქნებოდნენ შედარებით ლიბერალური რუსეთის პირობებშიც კი.

ასე რომ, მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში გახდა შესაძლებელი მთელი სიმართლე თქმულიყო ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებზე. ეს გააკეთა ივანე ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“.

საბჭოთა რეჟიმის დროს, ცხადია, საკითხის ობიექტური შესწავლა და მოვლენების სათანადო შეფასება კვლავ გამოირიცხა. თვით ჩვენი უდიდესი ისტორიკოსისა და მამულიშვილის აღნიშნული ნაშრომიც კი ფაქტობრივად ერთხელ კი არ გამოსულა. როცა სიმონ ყაუხჩიშვილი შეეცადა იგი შეეტანა და გამოეცა „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნში, ამან კომუნისტურ ხელისუფალთა შორის დიდი აურზაური და შეშფოთება გამოიწვია და წიგნზე ყადაღა იქნა დადებული. ამ ფაქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ ერთი ისტორიკოსი იმასაც კი წერდა რომ „ივანე ჯავახიშვილი, მას რომ დასცლოდა, უთუოდ გადასინჯავდა თავის ძველ შემცდარ პოზიციას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში და არავითარ შემთხვევაში არ მოისურვებდა ხელახლა დაებეჭდა ზოგიერთი თავისი ადრინდელი ნაშრომი იმ სახით, როგორც ის ამ ცოტა ხნის წინათ დაიბეჭდა“. ოფიციალურ წრეებსა და ისტორიკოსთა უმრავლესობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 1953 წელს დაბეჭდილმა პროფ. იასე ცინცაძის სტატიამ „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან“, სადაც ავტორს XVIII საუკუნეში მცხოვრები ქართველი ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის რუსეთისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შემცველი აზრების მოხმობაც კი არ აპატიეს. თუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას და რუსეთის იმპერიაში შესვლას ასე თუ ისე კარგად ესადაგებოდა ფორმულა „უმცირესი ბოროტების“ თაობაზე, ნიკო ბერძენიშვილმა იგი „საუკეთესო გამოსავლით“ შეცვალა.

ახლა ყველა ობიექტური პირობაა შექმნილი რათა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ყოველმხრივ ობიექტურად იქნეს შესწავლილი და შეფასებული. გვაკლია მხოლოდ მონობის კომპლექსის ინერციისაგან განთავისუფლება. ამ შემთხვევაში კი ბევრი რამ სხვაგვარად წარმოჩინდება. დავიწყოთ იმ დიდი ტრაგედიის მიზეზების განხილვით, რაც ქართლ-კახეთს დაატყდა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში.

ყველა ქართველმა იცის შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის ცდები დაეცალათ აღმოსავლეთ საქართველო ქართველობისაგან და სამაგიეროდ აქ მომთაბარე მოსახლეობა ჩაესახლებინათ. მაგრამ არათუ ქართველობის მასა, არამედ თვითონ ქართველი ისტორიკოსებიც კი ნაკლებად უფიქრდებიან ირანის შაჰების ამგვარი ზრახვებისა და ქმედებების მიზეზს და მათ განიხილავენ ოდენ საქართველოსადმი სპარსეთის ტრადიციული პოლიტიკის თვალთახედვით. სინამდვილეში სპარსელთა მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს განადგურება-მოსპობის მცდელობები განაპირობა ჩვენი მეფეების რუსეთზე ორიენტაციამ. მათ ადვილად ირწმუნეს, რომ ასტრახანის სახანოს დაპყრობითა და თერგზე ჩამოდგომით ამიერიდან „ერთმორწმუნე“ რუსეთი ქართლ-კახეთს ირანისა და თურქეთისაგან დაიცავდა. მათ ვერ გათვალეს, რომ რუსეთს იმხანად საკმარისი ძალა არ გააჩნდა ირანთან და თურქეთთან მკვეთრი დაპირისპირებისათვის და თანაც რელიგიის ფაქტორი ნაკლებად საიმედო გახლდათ სწორი საგარეო-პოლიტიკური ორიენტირის შერჩევისას. რუსეთიც, რასაკვირველია, იმხანად და შემდეგშიც მოხერხებულად იყენებდა ერთმორწმუნეობის ფაქტორს (მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და ბოლშევიზმ-კომუნიზმს).

ძნელი როდია გავიცნობიეროთ ირან-თურქეთის იმჟამინდელ მმართველთა რეაქცია აღნიშნულის გამო. ივანე ჯავახიშვილი თავის 1918 წელს გამოსულ ნაშრომში აღნიშნავდა: „შაჰ-აბასი საქართველოს ერთის მხრით იმიტომ გადაემტერა, რომ ქართველებმა მაჰმადიანი მეზობელ სახელმწიფოების მძლავრობის გამო თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა ვითარცა ერთმორწმუნე სახელმწიფოს, რუსეთის სამეფოს, აცნობეს და დახმარებაც სთხოვეს“. თითქმის იგივეს სწერდა ნიკო ბერძენიშვილი: „შაჰი (იგულისხმება შაჰ-აბას I, გ.ყ.) კარგად ხედავდა რომ მოსკოვის გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე საბოლოო ანგარიშში ერანს უფრო ნაკლებად როდი ემუქრებოდა, ვიდრე მის მტერს, ოსმალეთს“. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის მინიშნება ისტორიკოსთათვის შეუმჩნეველი დარჩა, რაც დღემდე გრძელდება.

კარგად მოგვეხსენება ქართლ-კახეთის ძნელბედობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, სპარსელთა ლაშქრობების ჩვენთვის სავალალო შედეგები. 1614—1617 წლებში, ამ შემოსევათა შედეგად, კახეთმა მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა: ასი ათასამდე მტერთან ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო ორას ათასამდე კი ტყვედ იქნა წაყვანილი. ქართლის ზარალი იმხანად ამოდენა არ ყოფილა: მან დაჰკარგა რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრები. სპარსელთა ლაშქრობების გამოისობით დიდი ბზარი გაუჩნდა საქართველოს (ქართლ-კახეთის) ტერიტორიულ მთლიანობას: დაიწყო ლორეს მხარისა და აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ჩამოშორება. აი, რად დაუჯდა იმხანად ჩვენს ხალხს რუსეთზე ორიენტაცია! ამგვარი პოლიტიკის გარეშე, რა თქმა უნდა, ზარალი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

დიდი შეცდომა მოუვიდა ვახტანგ მეექვსესაც. როცა პეტრე პირველმა გადაწყვიტა ირანში ულაშქრა, ჩვენი მეფე იოლად წამოეგო სატყუარს და 40-ათასიანი ლაშქრით განჯასთან ელოდებოდა რუსის ჯართან შეერთებას. ვახტანგ მეექვსის ამგვარ აქციას შედეგად ის მოჰყვა, რომ თურქეთთან დადებული ზავით პეტრე პირველმა მას მთელი აღმოსავლეთ საქართველო დაუთმო. მისი გულქვაობა იქამდეც კი მივიდა, რომ ქართველთა გაუბედურებული მეფისათვის რუსეთში შესაფერისი თავშესაფრისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენაც კი არ სურდა. ამიერიდან, თორმეტი წლის განმავლობაში, ქართლი თურქებს ეპყრათ, რომლებიც შემდეგ ირანელებმა შეცვალეს. ყოველივე ამის შედეგად ქართლის ბაგრატიონებმა ძალაუფლება დაჰკარგეს, მაგრამ მთავარი უბედურება გახლდათ ქვეყნისათვის მიყენებული საერთო ზარალი.

ქართველმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა იმხანად გულუბრყვილობის იშვიათი ნიმუში აჩვენეს (თუმცა იყვნენ რეალისტურად მოაზროვნენიც). მათი შეხედულებით პოლიტიკაში ვაჟკაცობას, პირდაპირობას, სიტყვის გაუტეხლობას დიდი ფასი ედო და ვერ წარმოედგინათ, რომ პარტნიორი, მით უმეტეს „ერთმორწმუნე“ რუსეთი ასეთ ვერაგობას გამოიჩენდა. თითქოს ჩვენს (ქართლ-კახეთის) პოლიტიკურ ელიტას ჭკუა უნდა ესწავლა, მაგრამ ასე როდი მოხდა.

როცა 1768 წელს რუსეთმა ომი დაიწყო თურქეთთან, მას კვლავ „გაახსენდა“ ქართველთა ერთმორწმუნეობა და ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს საერთო მტერთან ბრძოლისაკენ მოუწოდა. ჩვენმა მეფეებმა, ბევრისაგან განსხვავებით, ამჯერადაც ადვილად დაუჯერეს რუსეთს და ომში ჩაებნენ. თუ რა მზაკვრობა იქნა ჩვენს მიმართ ჩადენილი ამ ომის მსვლელობაში, ესეც კარგადაა ცნობილი. არ უნდა ვიყოთ გულუბრყვილონი და სალდათონ ტოტლებენის საქციელი თვითშემოქმედებად არ უნდა წარმოვიდგინოთ. სინამდვილეში, უეჭველია, იგი ზემოდან იყო დამოძღვრილი.

რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით ჩვენს წინაპრებს ეგონათ, რომ ამიერიდან ეს ქვეყანა საქართველოს საიმედო მოკავშირედ მოევლინებოდა, მაგრამ ისინი კვლავ მწარედ მოტყუვდნენ. 1783 წელს გაფორმებულ ტრაქტატს შედეგად მოჰყვა აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის და ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის აოხრება. ამის შემდგომ იგი კახეთში აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ ამჯობინა საქართველოდან მალე წასულიყო, რადგან ყარაბაღის სახანო და სხვები დამორჩილებული არ ჰყავდა, რის გამოც ზურგი უზრუნველყოფილი არა ჰქონდა (ივანე ჯავახიშვილი). მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს მიერ ამ დროს განცდილი ზარალი მაინც დიდი იყო: თუ სპარსელთა შემოსევამდე ქართლ-კახეთის სამეფოში 61.000 კომლი სახლობდა, 1795 წლის შემდეგ ძლივს 35 ათასი კომლი დარჩა, ე.ი. დაღუპულ ან დატყვევებულ იქნა 26.000 კომლის შემცველი მოსახლეობა.

პავლე პირველის საიმპერატორო კარზე ასვლას ჩვენს მიმართ მორიგი ღალატი მოჰყვა, რის გამოც ერთი წლის შემდეგ ირანის შაჰმა ქართლ-კახეთზე ლაშქრობა განიზრახა (სურდა მცხოვრებთა აყრა და ირანში გადასახლება), მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ იგი მოკლულ იქნა, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი საფრთხე აცდა.

ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის დაუძლურება, უპირველესად მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან დაცლა, შედეგი იყო ქართველი მეფეების გულუბრყვილო პოლიტიკისა და რუსეთის მმართველი ფენის უკიდურესი ცბიერებისა. ამის დანახვა რუს პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებს, ცხადია, არ აწყობდათ და ისინი თავს მიიჩნევდნენ ქართველობის დიდ კეთილსმყოფლებლად, მით უმეტეს მეცხრამეტე საუკუნეში, როცა საქართველოში თითქოსდა ბარბაროსობის ნაცვლად ცივილიზაციას ნერგავდნენ.

მიუხედავად დიდი ზარალისა, რაც განსაკუთრებით აღმოსავლეთმა საქართველომ განიცადა, საქართველოს მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში 800 ათასს მაინც აღწევდა და როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ამ მასის შემცველი ერის გადაშენება, თანაც მეცხრამეტე საუკუნეში! ქართლ-კახეთმა გაუძლო, თუმცა დიდი მსხვერპლის საფასურად, უმძიმეს მეთხუთმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებს და როგორ შეიძლებოდა გადაშენება ისტორიულად ბევრად უფრო ხელსაყრელ მეცხრამეტე საუკუნეში! პატარა აჭარამ თვალსაჩინო ნიმუში მოგვცა იმისა, თუ როგორ შეუძლია მცირერიცხოვან მოსახლეობას, პატარა კუთხეს, გაუმკლავდეს დიდ მტაცებელ ქვეყანას მთელი სამასი წლის მანძილზე. მშვენიერი მაგალითი მოგვცა გურიამაც იგივე ქვეყნის წინააღმდეგ. მეტნაკლებად იგივე ითქმის მთელი დასავლეთი საქართველოს მიმართაც. ყოველივე ამის შემდეგ რატომ ვისაწყლებთ თავს და ვაცხადებთ, რომ ურუსეთოდ ჩვენ უთუოდ ფიზიკური განადგურება — გადაშენება გვემუქრებოდა? რატომ გვავიწყდება, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ირანი და თურქეთი მეორეხარისხოვან სახელმწიფოებად იქცნენ, რომელთაც თვითონ უხდებოდათ თავდაცვა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთისაგან. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ არც თურქეთს და მით უმეტეს ირანს ერთი ეთნოსის ასიმილაციაც კი არ მოუხდენია.

რაც შეეხება ევროპული ცივილიზაციის გავრცელებას, მას კარი მხოლოდ რუსეთში კი არ ეხსნებოდა, არამედ თურქეთსა და ირანშიც. ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ამ გზაზე უკანასკნელებს დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული და საცილობელია რუსეთს ამ თვალსაზრისით დიდი უპირატესობა გააჩნდეს. ხოლო ახალი ცივილიზაცია ბოლოსდაბოლოს ჩვენში ურუსეთოდაც გავრცელდებოდა — საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ხომ, განსხვავებით სომხეთის, აზერბაიჯანის, შუა აზიისა და სხვათაგან, ამის განხორციელების სოლიდური საფუძველი გახლავთ.

გამოღვიძებულ ქართულ ცნობიერებას არ სჭირდება შეხსენება იმისა, თუ როგორ ვერაგულად მოექცა ბოლშევიკურ-კომუნისტური რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. იგი „ღირსეულად“ აგრძელებდა რუსეთისათვის საქართველოსადმი ჩვეული ვერაგობისა და ცბიერების ნუსხას. თუმცა იგი ამას „რევოლუციით“ ნიღბავდა. მაგრამ რუსეთის მმართველ ფენებს ხომ არასოდეს არ აკლდათ თავიანთი ბნელი ზრახვების მაღალი პრინციპებით კამუფლირება!

ჩვენ ხშირად ვისჯებით ხოლმე ისტორიის გაკვეთილების გაუთვალისწინებლობის გამო. ხშირად არა თუ არ ვითვალისწინებთ, არამედ არც კი ვაცნობიერებთ ხოლმე ამ გაკვეთილებს. კერძოდ, ასე გვემართება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხში. ბევრისათვის ნათელი ხდება დღევანდელი რუსეთის ვერაგული ზრახვები და ქმედებანი საქართველოს წინააღმდეგ. ნათელია, რომ აფხაზებთან და ცხინვალის ზონის ოსებთან ჩვენი კონფლიქტის გაღრმავების მიზეზი რუსეთია. იგივე ითქმის ე.წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის ჩვენთან დაპირისპირებაზე და ა.შ. თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის მწარე გაკვეთილებსაც გავითვალისწინებთ, ჩვენი რეალისტური ხედვა მოვლენებისა ბევრად უფრო ღრმა და ადეკვატური იქნება. ამ შემთხვევაში ბევრ ქართველს არ უნდა მოჰკვროდა ეიფორია გასული წლის 3 სექტემბერს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების გამო.

რასაკვირველია, კარგად უნდა ვითვალისწინებდეთ დღევანდელი რუსეთის მძაფრ პოლიტიკურ ცხოვრებას, სხვადასხვა ძალების ჭიდილს, მაგრამ ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნამეტან იმედებს ნუ დავამყარებთ რუსეთის დემოკრატიაზე. გამარჯვების შემთხვევაშიც კი შესაძლოა რუსეთის დემოკრატიამ უსიამოვნო სიურპრიზები შემოგვთავაზოს, ეს კი კარგად უნდა უწყოდნენ პოლიტიკოსობისა და პოლიტოლოგების მქონე პირებმა, რომლითაც ასე „მდიდარი“ გახდა ჩვენი ქვეყანა. ნუ გავიმეორებთ ჩვენი წინაპრების მიერ დაშვებულ შეცდომებს და განსაკუთრებით გულუბრყვილობას, რომელიც საქართველოს მმართველმა წრემ 1920—21 წლებში გამოიჩინა. კერძოდ, იგი ბრმად ენდო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას. იმედია, რომ ახალი ხელშეკრულების დადებისას და შემდეგაც დღევანდელი ქართველობა უფრო ფხიზელი და რეალისტი იქნება.



## გრიგოლ მოსესოვი

დაიღუპა 1993 წლის 27 თებერვალს სოფელ არადუს დაცვისას.

31 წლის თბილისელი ვაჟკაცი, ორი შვილის მამა უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და მოხალისედ წავიდა აფხაზეთში.

გრიგოლ მოსესოვი გულადი და სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი იყო; მან არაერთ ბრძოლაში ისახელა თავი და არაერთგზის მდგარა სიკვდილის წინაშე.

27 თებერვლის დღე მისთვის უკანასკნელი გამოდგა. მტრის ტყვიამ საქართველოს კიდევ ერთი გმირი მებრძოლი მოუკლა.

7 აპრილს 40 დღე სრულდება გრიგოლის გარდაცვალებიდან. გვჯერა, მისი ნათელი სული სასუფეველში დაიმკვიდრებს ადგილს.

მეგობრები



## ვახტანგ კოპალიანი

1993 წლის 27 თებერვალს გმირულად დაეცა სოფელ არადუს დაცვისას.

ვახტანგ კოპალიანი სოფელ არადუს მცხოვრები იყო. მტრის ხშირი შემოტევების მიუხედავად, მას ერთი წუთითაც არ დაუტოვებია მშობლიური სოფელი და ბრძოლის ველს არ გარიდებია.

7 აპრილს ვახტანგ კოპალიანის გარდაცვალებიდან 40 დღე სრულდება. ჩვენ მისი თანამებრძოლები და მეგობრები უდიდესი მწუხარებით და გულისტკივილით ვიგონებთ სამშობლოსათვის დაცემულ მებრძოლს და გვჯერა, რომ მისი სახელი უკვდავი იქნება უკუნითი უკუნისამდე.

მეგობრები

# რატომ ვაგვიანებთ ელექტროენერგეტიკის კანონის მიღებას?..

რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, ვფიქრობთ ჯერ კიდევ ახსოვს ჩვენში ჰიდროენერგომშენებლობის შესახებ ამ რამდენიმე წლის წინ დაწყებული საკმაოდ მწვავე დისკუსია, რომელიც საბედნიეროდ ჯერ კიდევ გრძელდება, თუმცა, ნაკლები ინტენსივობით. ამ დისკუსიის დროს რომელმაც საზოგადოებრიობა ჰესების მშენებლობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაჰყო, მრავალი ყურადსაღები, ამასთან ბევრი არაერთგვაროვანი, ურთიერთსაწინააღმდეგო ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებაც კი გამოითქვა. სამწუხაროდ, ზემოხსენებული, უდავოდ საჭირო დისკუსია ჩვენი აზრით, არ წარიმართა კონსტრუქციული მიმართულებით, ურთიერთმოსაზრებათა პატივისცემისა და კეთილგანწყობის სულისკვეთებით. დისკუსიაში მონაწილე ხუდონჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებსაც რესპუბლიკის მასობრივი საშუალებები, გარკვეულ მიზეზთა გამო, უფრო „მეტი ხალისით უთმობდნენ ტრიბუნას", ვიდრე მათ ოპონენტებს, მხოლოდ იმ საკმაოდ მრავალრიცხოვანი პრობლემების წარმოჩინებით იყვნენ დაკავებულნი, რომლებიც უდავოდ წარმოიქმნებიან მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში ჰიდროკვანძების მშენებლობისას, და არა იმ კონკრეტული, კონსტრუქციული გზებისა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა მსოფლიოს მოწინავე, ცივილიზებულ ერთა მსგავსად, ბუნებასთან გონივრულად კომპრომისის პირობებში, გადაგვეჭრა ხუდონჰესის შექმნისას წარმოქმნილი ყველა პრობლემა.

ყოველივე ამას, აგრეთვე ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მთელ რესპუბლიკაში, აგრეთვე მათ შორის ქ. ჯვარში გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგებსა და აქციებს, შედეგად ის მოჰყვა, რომ 1989 წლის 30 ივნისს რესპუბლიკის მაშინდელმა ხელისუფლებამ ყოველგვარი ტკაცრი ტექნიკური დასაბუთების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება ხუდონჰესის მშ ენებლობის შეწყვეტის შესახებ, რომლის პროექტის შექმნაში, სხვათა შორის, თავის დროზე მონაწილეობდა რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალი 8(სულ 29) აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო, თუ სხვა სპეციალიზირებული ორგანიზაცია თანაც მშენებლობის შეწყვეტა მოხდა მისი დაწყებიდან თითქმის მეათე წელს მაშინ, როცა ამ ჰიდროკვანძის მშენებლობა ისეთ სტადიაში იყო, რომ მას ქვეყნისათვის ელექტროენერგიის მიცემა, რეალურად, უკვე 1991 წლის ბოლოსათვის შეეძლო... ხუდონჰესის სრული სიმძლავრით — 700 მეგავატი, ამოქმედება შესაძლებლობას მოგვცემდა წლიურად მიგვეღო 1,66 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია და ამით დაგვეზოგა 570 ათასამდე ტონა პირობითი სათბობი, რომლის იმპორტირებისას წარმოქმნილი პრობლემები, ალბათ არც მომავალშია გამორიცხული, რომ არაფერი ვთქვათ ორგანულ სათბობთა ფასების კატასტროფიულ ზრდაზე. ზემოხსენებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ხუდონჰესის მშენებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სრულ ლიკვიდაციასაც, რასაც 1984 წლის ფასებით, 62 მილიონამდე მანეთი სჭირდებოდა — როგორც მოსალოდნელი იყო, მისი შესრულება, სამწუხაროდ დღემდე ვერ მოხერხდა... მიუხედავად ამისა, არ გვახსოვს, რომ ჩვენში ამის გამო ვინმეს ხმა აღემაღლებინოს, რაიმე მიტინგი თუ აქცია მოეწყოს...

ამ სამიოდე წლის წინ ჩატარდა ხუდონჰესის პროექტის ხელახალი ექსპერტიზა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ ჰიდროკვანძის მშენებლობის მიზანშეწონილობა. თუმცა, სპიტაკის ცნობილი მიწისძვრისა და თაღოვანი კაშხლის ქვაბულის გახსნისას მიღებული დამატებითი მონაცემების საფუძველზე ექსპერტიზამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ჰიდროკვანძის ნაგებობათა 9 ბალიან სეისმურობაზე გაანგარიშება, მსგავსად ენგურჰესის თაღოვანი კაშხლისა, ნაცვლად პროექტში მიღებული 8 ბალისა. ამ ექსპერტიზის შედეგების საჯარო განხილვის მოწყობა და მის შესახებ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ინფორმირება, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ჯერ კიდევ 1991 წლის დასაწყისში მიმართა თხოვნით ქვეყნის მაშინდელ ხელისუფალს ჩვენში ენერგეტიკულ მშენებლობასთან დაკავშირებულ ოცამდე ორგანიზაციაში მოღვაწე 271 პიროვნებამ, მათ შორის 4 აკადემიკოსმა, 3 აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა. ამ ფაქტების შეხსენება საზოგადოებისათვის მხოლოდ იმიტომ ჩავთვალეთ აუცილებლად, რომ მას შემდეგაც კი, როცა პრაქტიკულად ყველა ჩვენთაგანმა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საკუთარ თავზე გამოსცადა, ელექტროენერგიის დეფიციტით განპირობებული უმუშევრობის, სიბნელის, სიცივისა თუ სხვა მრავალრიცხოვან სიძნელეთა „სიკეთენი", ჩვენში, თვით ახლანდელი პარლამენტის სხდომებზეც კი, კვლავაც გაისმის ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო, ჰიდროენერგომშენებლობის სფეროში მსოფლიოში დღეისათვის არსებული რეალობებისა და მიმდინარე ტენდენციების უგულებელმყოფელი მოსაზრებები.

თუ მხედველობაში მივიღებთ მდინარეთა ჰიდროენერგოპოტენციალის ათვისების საქმეში ჩვენში ამჟამად არსებულ საკმაოდ დაბალ დონეს (10—12 პროცენტი, მაშინ როცა მსოფლიოს მრავალ, მოწინავე ქვეყანას პრაქტიკულად მთლიანად აქვს გამოყენებული მდინარეთა ენერგია), ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული სამთავრობო გადაწყვეტილება ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც თან მოჰყვა წინათ დაწყებული ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობისა და უახლოესი პერსპექტივით გათვალისწინებული ტობარისა და მინაძის ჰესების, თბილისის თბოელექტროცენტრალისა და ქუთაისის თბოელექტროსადგურის პროექტირების შეწყვეტა, ჩვენ (აგრეთვე ბევრი სხვისაც...) ღრმა რწმენით, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ მძიმე შეცდომაა, რისთვისაც პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ქვეყნის მაშინდელ ხელისუფლებას უნდა დაეკისროს. თუმცა ეს პასუხისმგებლობა, ალბათ, მეტნაკლები ხარისხით უნდა გაინაწილონ: უფრო ნაკლებად — ჩვენი საზოგადოებრიობის იმ ნაწილმა, რომელმაც, სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო, ვერ შეძლო განესაზღვრა ჩვენში ჰიდროენერგომშენებლობის ფაქტობრივად „აკრძალვით" გამოწვეული შედეგები (ბევრმა მათგანმა უკვე აღიარა ეს შეცდომა, და კარგი იქნებოდა თუკი სხვებიც იგივეს გააკეთებენ), ხოლო უფრო მეტად-ტექნიკური ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელმაც კარგად იცოდა რა ზემოთხსენებული მთავრობისეული დადგენილებისაგან მოსალოდნელი შედეგები, მაინც ვერ შეძლო გამოევლინა საკმარისი სიმტკიცე ხუდონჰესისა და ნამახვანჰესის კასკადის პროექტების დაცვისას, რომელთა ირგვლივ დისკუსია, ჩვენი აზრით, მეცნიერულიდან პოლიტიკურ სფეროში გადაიზარდა...

ყოველივე ამას, შედეგად ის მოჰყვა, რომ უკვე მეოთხე წელია, რაც ჩვენში პრაქტიკულად შეწყვეტილია კარგა ხნის წინათ მიღებული ქვეყნის ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარების კონცეფციის მოქმედება (გრძელდება მშენებლობა მხოლოდ სამი ახალი, 900 მეგავატი საერთო სიმძლავრის ენერგობლოკისა თბილისის თბოელექტროსადგურზე, რომელთა მუშაობის უზრუნველსაყოფად, ყოველწლიურად, მოგვიწევს ქვეყნის გარედან მილიარდობით მანეთის ღირებულების ბუნებრივი აირის შემოტანა...). ხოლო ახალი ენერგეტიკული კონცეფციის არა მარტო მიღება, არამედ შემუშავება და ხალხის სამსჯავროზე გამოტანაც კი, დღემდე ვერ მოხერხდა—ყველაზე უფრო გულსატკენი და გაუგებარი, ჩვენის აზრით, მაინც ისაა, რომ ქვეყნის ელექტროენერგეტიკის კანონის მიღება, და თვით ჩვენში ამჟამად არსებული ენერგეტიკული პრობლემებისადმი საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაც კი (ვფიქრობთ, რომ ელექტროენერგეტიკის კანონის მიღება უფრო საშური საქმეა, ვიდრე ჩვენში იარაღის ტარების თუ არტარების დაკანონება,

ჰიდროტექნიკური მშენებლობის ჩვენში ამჟამად არსებული დამოკიდებულება იწვევს ქვეყანაში მრავალი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და მშენებელთა მრავალათასიანი, მაღალკვალიფიციური კოლექტივების თანდათანობით დაშლას. კოლექტივებისა, რომელთა ერთობლივი ძალისხმევითაა შექმნილი ჩვენში არსებული ყველა ჰესი, მათ შორის ენგურჰესის მსოფლიოს მნიშვნელობის, უნიკალურ ნაგებობათა კომპლექსი, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერ ერს შეუძლია იამაყოს. ამ ოთხიოდე წლის წინათ დაწყებული ეს ფრიად არასასიამოვნო პროცესი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, რაც, ძირითადად, ელექტროენერგეტიკის კანონისა და კონცეფციის უქონლობით „ხელფეხშებორკილი" საქენერგოს დამსახურებაა... თუკი ქართული ჰიდროტექნიკური სკოლისადმი დღევანდელი, ჩვენი აზრით, არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება კვლავაც გაგრძელდება, მაშინ სულ მალე, მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანათა მსგავსად, ალბათ, მოგვიწევს უცხოელი სპეციალისტების მოწვევა ჩვენი ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრულიად აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ისეთივე ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეპყროს ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში დღეისათვის არსებული პრობლემების მოგვარების საკითხს, როგორც ამას მსოფლიოს სხვა მოწინავე ქვეყნები აკეთებენ. ვფიქრობთ, დაუყოვნებლივ მისაღებია გადამჭრელი ზომები ქვეყანაში დღეისათვის არსებული „უძრაობის" პერიოდის შესაწყვეტად და საქართველოს ელექტროენერგეტიკის კანონისა და მისი შემდგომი განვითარების ეროვნული ინტერესების შესატყვისი კონცეფციის მისაღებად. ასევე აუცილებლად გვესახება, რომ საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ კიდევ ერთხელ, ცივი გონებით, ყოველგვარი ემოციების გარეშე განიხილოს და საბოლოოდ გადაწყვიტოს ხუდონჰესის ბედი, ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში და თვით ამ მშენებლობაზე დღეისათვის არსებული რეალობების მხედველობაში მიღებითა და გათვალისწინებით (არანაირი უფლება არა გვაქვს დღევანდელ მდგომარეობაში დავტოვოთ, და ერის და ქვეყნის [illegible] არ გამოვიყენოთ ამ [illegible] ათასობით ადამიანთა თითქმის ათწლიანი შრომის შედეგად „სანახევროდ" აშენებული ნაგებობები, და არ დავამთავროთ ამ ჰესის მშენებლობა, რა თქმა უნდა ეკოლოგიური უსაფრთხოების უცილობელი უზრუნველყოფით...).

საქართველოს სამომავლო ენერგეტიკული პოლიტიკა, შემუშავებული უნდა იქნას, უპირველეს ყოვლისა, მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული პატიოსნებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციურ, კომპეტენტურ სპეციალისტთა საერთო ძალისხმევით, ელექტროენერგეტიკის სფეროში მსოფლიოში დღეისათვის არსებული რეალობისა და მიმდინარე ტენდენციების, ჩვენი საზოგადოებრიობის ყველა კონკრეტული კონსტრუქციული მოსაზრებისა და წინადადების მხედველობაში მიღებითა და გათვალისწინებით, და დაფუძნებული უნდა იქნას ელექტროენერგიის მიღების ჩვენივე საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსების ქვანახშირისა და ჰიდროენერგოპოტენციალის მაქსიმალურ, გონივრულ გამოყენებაზე.

ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის პარლამენტი და მთავრობა შორს არ გადადებს წერილში წამოჭრილ საკმაოდ რთული, სპეციფიკური საკითხების მოგვარებას, რადგანაც მათზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევის დაჩქარება.

**გიული ფოცხვერია**
თბილჰიდროპროექტის მთავარი სპეციალისტი
**ნოდარ შარტავა**
ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
სპეციალისტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი

## რედაქციისაგან:

გვიჭირს გავიზიაროთ ავტორ[illegible] მოსაზრება საზოგადოდ გიგანტური ჰე[illegible], და კერძოდ, ხუდონჰესის „რეაბილიტაციის" აუცილებლობასთან დაკავშირებით. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი ჩვენგანი თავის დროზე ამ მშენებელთა წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილე ვიყავით. ვფიქრობთ, ორიენტაცია არა გიგანტურ, არამედ მცირე ჰესებზე უნდა ავიღოთ. მაგრამ, რასაკვირველია, სპეციალისტებს ვერ წავართმევთ უფლებას, და მითუმეტეს, საშუალებას, გამოთქვან სხვაგვარი, „არაპოპულარული" შეხედულებანი.

მივეცით რა გ.ფოცხვერიას და ნ.შარტავას ეს საშუალება, ვთხოვთ სპეციალისტებს, მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებანი და რომ კამათი წარიმართება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, და წაადგება ყველასათვის მტკივნეული პრობლემების გადაწყვეტის საქმეს.



ცნობილ ქართველ პოეტს ზაურ ბოლქვაძეს 60 წელი შეუსრულდა. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავს ბატონ ზაურს საიუბილეო თარიღს და უსურვებს ისეთ საქართველოს, სადაც ასეთი სატირული ლექსების დაწერა აღარ დასჭირდება ...



## პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

# ზაურ ბოლქვაძე: ყველაფერი, ყველაფერი ვიკადროთ!..

ექსცესების სათვალავი აგვერია,
აირია ივერია, ღმერთმანი!..
დრო ვიხელთოთ-უფრო ხშირად დავერიოთ,
ქართველებო, დავერიოთ ერთმანეთს!
    ცილი ვსწამოთ, პირში სული ამოვხადოთ,
    მივეპაროთ, ზურგში ჩავსცეთ ბებუთი!..
    დავამციროთ, შევურაცხვყოთ, ვლანძღოთ, ვთათხოთ,
    ვაგინოთ და ვათახსიროთ ერთურთი!
ვიკლოუნოთ ზემკლავ-წინმკლავ-უკუმკლავით,
ვიპროტესტოთ შიმშილობით მშრალ-სველით,
ვიწიოკოთ, ვიწვრილმანოთ, ვიკინკლაოთ,
საქმეს აღარ დავაყენოთ საშველი!
    სალოცავი ჩვენი ჩვენვე დავანგრიოთ,
    ხატი ჩვენი ფეხქვეშ გავთელოთ!..
    ჩავუსაფრდეთ, ჩავუხტეთ და დავარბიოთ, —
    ერთმანეთი დავარბიოთ, ქართველნო!
ვიქცეთ ეგოისტებად და ნარცისებად,
ჩავლპეთ შურში, სიხარბეში, ბოღმაში!..
დავივიწყოთ ღვთისმიერი ათი მცნება, —
შევიძულოთ, მოვიკვეთოთ მოყვასი!..
    გავპირუტყვდეთ — გავიწყვიტოთ ძარღვი შუბლის,
    ურთიერთი დავგესლოთ და დავცოფოთ!..
    ღალატსა და მზაკვრობაში, ჩხუბში, შუღლში
    შევეჯიბროთ ურთიერთს და ვაჯობოთ!
კეთილს ზურგი შევაქციოთ, ვეძმოთ ბოროტს, —
ენერგია არ დავხარჯოთ უმიზნოდ, —
ვითარეშოთ, ვიმხეც-ვიმაროდიოროთ,
ვიინტრიგან-ვიავანტიურისტოთ!..
    გავახშიროთ საზღვარგარეთ ძრომანი, —
    ჩავიდინოთ საქმეები საჯაყი, —
    ვიგარყვნილოთ, ვიჩარჩ-ვინარკომანოთ
    და კოკებით გადავისხათ თავს ლაფი!
სულ ურთიერთის მტრობასა და ჭიშში ვიყოთ,
სულ ურთურეთში ვიდაოთ და ვიცილოთ,
სულ ერთურთზე ვიჭორაოთ, ვიჭილიკოთ,
ვიჭირქილოთ, ვიცინიკოს-ვიცინოთ!..
    ჩვენი გმირი წინაპრებით ვიტრაბახოთ, —
    მუდამ მტრულად რომ ხვდებოდნენ მტრის ურდოს, —
    ჩვენ კი დავდგეთ-ვიბანდიტოთ, ვიყაჩაღოთ,
    ვიტერორისტ-ვირეკეტირ-ვიქურდოთ!..
ჩირქი მოვსცხოთ და ვუმზიროთ ერთურთს ზიზღით,
თან უშვერი სიტყვებითაც მივმართოთ,
ვიორგულოთ, ჩავუქციოთ ტვინში სისხლი
და გულები დავუმაკროინფაქტოთ!
    ერთმანეთი მოუთხრელი არ დავტოვოთ,
    გადავგვარდეთ, გავირეცხოთ ნამუსი,
    გავითიშოთ, გავიყოთ და ვაბატონოთ, —
    დამპყრობელი ვაბატონოთ მამულში!
გზა არ მივსცეთ ერთმანეთის ნიჭს, ფართო,
კიდევ უფრო გავიშავოთ შავი დღე! —
ყველაფერი, ყველაფერი ვიკადროთ,
ყველაფერზე, ყველაფერზე წავიდეთ!
    მთლად გავბრბოვდეთ, გონებანი დავიბნელოთ.
    და ბარაბა ვამჯობინოთ იესოს!..
    ვიიუდოთ, ვისატანოთ, ვიმკრეხელოთ,
    ვიძალადოთ, ზორბად ვიმაფიოზოთ!..
არავინ და არაფერი არ დავინდოთ, —
მასშტაბურად, მარჯვედ ვიდივერსანტოთ,
ვიდემაგოგ-ვიშანტაჟისტ-ვითაღლითოთ
და სხვა არამზადობისთვის ვემზადოთ!
    ერთმანეთის ქლეტა-ქუჩა გავაჩალოთ
    და პასუხი არაფერზე არ ვაგოთ! —
    არ ვუშველოთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს,
    მივატოვოთ, სამუდამოდ დავკარგოთ!..
არ ვიშრომოთ, არ ვიომოთ! — გავიბლინძოთ
და ვიძახოთ: „მომავალი ჩვენია!“
აწყმოთი კი მთელს მსოფლიოს დავუმტკიცოთ,
რომ ნამდვილად „ბედნიერი ერი“ ვართ!
    ლაყბობებში დავალამოთ, გავათენოთ, —
    და ეს ჩვენი ერთადერთი სამკვიდრო, —
    გავასხვისოთ დარჩენილი საქართველოც,
    გავაჩუქოთ, ჩალის ფასად გავყიდოთ!..
ჩვენი თავი ჩვენ თვითონვე დავიღუპოთ,
გასახარად მოსეული მტრებისა!..
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა გავაიავისუფლოთ
საქართველო ჩვენგან-ქართველებისგან!
    ექსცესების სათვალავი აგვერია,
    აირია ივერია, ღმერთმანი!..
    სანამდე ვართ, დავტრიალდეთ-დავერიოთ,
    ქართველებო, დავერიოთ ერთმანეთს!

## საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვის საზოგადოების გამგეობის

# განცხადება

სამი წლის წინ, როდესაც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკის ცნობაზე საუბარიც კი არ იყო, მაშინდელმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეადგინა იმ შენობათა სია (რომელთა შორისაც ჩვენი ადმინისტრაციული შენობაც მოჰყვა ), სადაც სავარაუდოდ შესაძლებელი იყო საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოთა განთავსება. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებამ დაკარგა ნორმალური მუშაობის პირობები, დაირღვა სამუშაო რიტმი, ვინაიდან იძულებული გავხდით ჩვენი ფიქრი და მცდელობა შენობის დაცვისათვის წარგვემართა. მაშინდელი ვიცე-პრემიერი მურმან ომანიძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები ყოველდღიურად გვახსენებდნენ თავს, სხვადასხვა ძალისმიერი მეთოდებით გვემუქრებოდნენ და შენობიდან ჩვენს გასვლას მოითხოვდნენ. სამწუხაროდ, მდგომარეობა არც ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების მოსვლით შეიცვალა.

ბუნების დაცვის საზოგადოების ადმინისტრაციული შენობა დაპროექტებული და აშენებულია საზოგადოების წევრთა საწევრო შენატანებით; ამდენად, ეს სახლი არის საზოგადოების საკუთრება ანუ იურიდიული ენით რომ ვთქვათ, კოლექტიური საკუთრების ობიექტი, (და არა სახელმწიფო საკუთრება), რომლის დამადასტურებელი მასალები ჩვენ ჯერ კიდევ წინა რეჟიმის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარვუდგინეთ. სამწუხაროდ, იძულებითი გზით საკითხის გადაწყვეტა განხორციელდა რესპუბლიკის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის მიმდინარე წლის 16 მარტის №189 განკარგულებით; რომლის თანახმადაც მოხდა ჩვენი შენობის რეკვიზიცია, ესე იგი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მესაკუთრისათვის ქონების იძულებით ჩამორთმევა ღირებულების გადახდით.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი, რომელსაც ეს განკარგულება ეყრდნობა, შეიცავს მხოლოდ ზოგად განმარტებას რეკვიზიციის შესახებ. რაც შეეხება რეკვიზიციის წესისა და პირობების თაობაზე ნორმატულ აქტს, იგი არც საქართველოს და არც ყოფილი საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ არ არის მიღებული. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს განკარგულების მართლზომიერებას.

პრემიერ-მინისტრის განკარგულებით ჩვენს საზოგადოებას რეკვიზირებულის სანაცვლოდ გადაეცა რაღაც ფართი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, ყოფილი ისტორიის მუზეუმის შენობაში. უფრო ადრე კი, მთავრობის შარშანდელი განკარგულებით, იგივე შენობა მთლიანად, თავისი მიმდებარე ტერიტორიით გადაეცა ბავშვთა ფედერაციას, რომლისთვისაც მარეკვიზირებელი განკარგულების გამოცემა ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, აღმასრულებელი ხელისუფლების ამდაგვარი ნაუცბათევი და ურთიერთგამომრიცხავი განკარგულებები თუ დადგენილებები იშვიათობას არ წარმოადგენენ.

მაშინ, როდესაც საქართველოში მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი და მისი განვითარების ტემპებზე განსაკუთრებული იმედებია დამყარებული, ისმის კითხვა: როგორ იმოქმედებს მყიდველზე ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში კერძო საკუთრება ხელშეუხებელი კი არა, პირიქით, ნებისმიერ დროს შეიძლება რეკვიზირებული იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, როგორც ეს ჩვენი საზოგადოების მაგალითზე მოხდა?

ბუნების დაცვის საზოგადოების ადმინისტრაციული შენობა დაპროექტდა და აშენდა 50-იანი წლების ბოლოს როგორც მუზეუმ-ლექტორიუმი; მასში განთავსებული ბუნების დაცვის მუზეუმი თავის ზოოგამოფენით და სხვა საგამოფენო დარბაზებით ერთადერთია დღეს ჩვენს ქვეყანაში. აქ გამოფენილია მრავალი სანიმუშო ექსპონატი (ფიტულები, ჰერბარიუმები, დიორამები, სტენდები, მაკეტები და სხვა). სამწუხაროდ, მათი დიდი უმრავლესობა ვერ გაუძლებს დემონტაჟის, ტრანსპორტირების და ხელახალი მონტაჟის სამუშაოებს და განადგურდება. არადა მუზეუმს კვლავაც დიდი ხნით შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქცია ბუნებისდაცვითი განათლების საქმეში.

ბუნების დაცვის საზოგადოების გაყვანით საკუთარი ადმინისტრაციული შენობიდან, განადგურდება მუზეუმის დიდი ნაწილი, რომლის მსგავსის გაკეთება დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, თუ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არ მოხდა აღნიშნული განკარგულების გადასინჯვა და საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, საზოგადოება კანონით ნებადართული ყველა საშუალებებით ეცდება არ დაუშვას ამ განკარგულების აღსრულება.

**საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვის საზოგადოების გამგეობა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ პატეიშვილი — 60

**„ნუ ვიქნებით უმადურნი და ყველას თავისი მივუწყოთ ხოლმე. ხალისი ამით მხნეობს და მხნეობა ამით ხალისობს...“**

ილია ჭავჭავაძე

არის პროფესიები ჩუმი, წყნარი, უხმაურო, უბუკ-ნაღარო. ასეთ პროფესიათა მსახურის სახელი და გვარი საქვეყნოდ ისე არ გახმიანდება ხოლმე, როგორც ციხის აღების, ომის მოგების ან რაიმე თვალსაჩინო საქმის ჩამდენისა.

უხმაურო პროფესიების მსახურთა მიმართ კალმის ხალხი ხშირად ვცოდავთ, რადგან ისინი მხოლოდ მაშინ გვახსენდებიან, როცა ამას პირადი საჭიროება გვკარნახობს.

არადა, ისევ ილიას თქმისა არ იყოს: „დიდის დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმა ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედა-ბოძად უდგა თვით საზოგადოებას“.

ერთი ასეთი ჩუმი, უხმაურო და უბუკ-ნაღარო მუშაკი თავისი ქვეყნისა გახლავთ ვლადიმერ პატეიშვილი.

ქვეყანაში, სადაც არასოდეს კანონი არ კანონობდა, დამეთანხმებით, ფინანსების დარგში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნამუშევარ კაცს დიდი შანსი ჰქონდა კაცობის წახდენისა.

ვლადიმერ პატეიშვილი იმ მცირეთაგანია, ეს შანსი რომ „ვერ“ გამოიყენა... სამოცი შეუბღალავიჟ— ნამუსით რომ ხვდება.

წითელი ჭირი დაუნდობლად ანადგურებდა ადამიანთა სულებს, ნაღდი ქართველიკაცის წახდენა კი არც ისე ადვილი ყოფილა...

კიდევ დიდხანს გემსახუროს ჩვენი ქვეყნისათვის, ბატონო ვლადიმერ! და კიდევ ერთი:

თქვენ და თქვენს კოლეგებს ისე მოულოდნელად გაგეხარებინოთ ხალხი ნამდვილი, გამართული ქართული ლარის შემოღებით, როგორი მოულოდნელიც ეს მილოცვა იქნება თქვენთვის.

ნოდარ გრიგალაშვილი

# ნაბიჯი ქართული ფულისაკენ

ორიოდე წლის წინ, საქართველოს ხელისუფლებას ქართული ფულის სუროგატი რომ შემოეღო ხმარებაში, დარწმუნებული ვარ, სიხარულის ყიჟინას დავცემდით და იმ დღეს დღესასწაულად გამოვაცხადებდით.

მართალიც ვიქნებოდით: ერისათვის, ხალხისათვის, ვინც დამოუკიდებლობისათვის საქმით, და არა მხოლოდ სიტყვით, იბრძვის, ეროვნული ფული ერთ-ერთი ნიშანია თავისუფლების; იგი ისეთივე სიმბოლოა ქვეყნის, როგორც დროშა, ჰიმნი და გერბი.

დღეს, სამწუხაროდ, საზეიმოდ და სადღესასწაულოდ საქმე არ გვაქვს. ომმა, შინააშლილობამ და ტოტალურმა გაჩუკითხაობამ, ყველაფერთან ერთად, საზოგადოების გულგატეხილობა და იდეალებისადმი გულგრილობა გამოიწვია.

ამიტომაც არის, რომ როგორღაც შიშით, ეჭვებით, ირონიულად, ნიჰილისტური ხელჩაქნევით და არსტუმართმოყვრულად ვხვდებით კუპონების შემოღებას — ნაბიჯს ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) თავისუფლებისაკენ.

— რას შევიძენთ კუპონებზე; როცა რუსულმა მანეთმა ვერაფერი გვისაშველა? კუპონი ეროვნული ვალუტა კი არა, ეროვნული მაკულატურაა? რა დროს ფულის შეცვლა და ეკონომიკური რეფორმებია ომის დროს, ან რა სარეალიზაციო სივრცე ექნება მას, როცა სამაჩაბლო და აფხაზეთი დაკარგულია...

აი, ის გვალვიანი ნიადაგი, რომელიც ხვდება ეროვნული ვალუტის წინამორბედს საქართველოში. ცხადია, უიმედობით გაჟღენთილი ასეთი ნიადაგი არც კუპონს, არც ეროვნული ვალუტას და არც სხვა კეთილ წამოწყებას გაახარებს.

უნდა შევიგნოთ, რომ ქართული ფულის ნიშანი არ არის ფარატინა ქაღალდი, უსულო მასა. იგი ცოცხალი არსებაა, რომელსაც სულიერივით მოფრთხილება, გაზრდა და სიყვარული სჭირდება.

„კუპონი ვერ იცოცხლებს“, „იგი ორ დღეში გაუფასურდება“... ასეთი განწყობა დღეს არა მარტო გაუთვითცნობიერებელ ხალხში სუფევს, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლებშიც ...

მოვიხედოთ უკან და დავფიქრდეთ: განა ქართული ფული არ იყო ერთ-ერთი ის მოთხოვნა, რისთვისაც სისხლი დავღვარეთ 9 აპრილს და ვღვრით დღესაც? განა მის უქონლობას არ ვსაყვედურობდით წინამორბედ მთავრობებს?

მაშ, რაღა დაგვემართა დღეს, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დიდი ლოდინის შემდგომ იბადება ქართული ფული და იჭრება გზა თავისუფლებისაკენ? ახაშობილს სიხარულის ნაცვლად ბოროტი წინასწარმეტყველებითა და წყევლა-კრულვით რატომ ვხვდებით?

რაც არ უნდა გვიჭირდეს, ჩვენი მიდგომა ამ ისტორიული ფაქტისადმი ასეთი უნდა იყოს: კუპონის შემოღების შემდგომ ეკონომიკურად შეიძლება კიდევ უფრო გაგვიჭირდეს, მაგრამ მოვითმინოთ, ვიშრომოთ, ვაწარმოოთ მეტი საქონელი და განვამტკიცოთ ქართული ფული.

კუპონების ნაადრევი სიკვდილი, დღეს, მხოლოდ საქართველოს თავისუფლების მტრებს უხარებს გულს.

კუპონებზე ვაჭრობაზე უარი იმ მეწარმემ და კომერსანტმა შეიძლება თქვას საქართველოში, ვისაც მამულზე უფრო ფული და მოგება უყვარს.

დღეს ჩვენი მრწამსი ასეთი უნდა იყოს: თუ თავისუფლება გვინდა, მაშინ საკუთარი ფულის ნიშანიც უნდა გვიყვარდეს და გვინდოდეს, საკუთარი არმიაც და საკუთარი საზღვარ — სამანიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა სიტყვასაქმედ და სურვილი-რეალობად.

კობა ლიკლიკაძე

# სსფ დარბაზის სხდომა

2 აპრილს, საქართველოს სახალხო ფრონტის შტაბბინაში გაიმართა სსფ დარბაზის სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა და დარბაზს დღის წესრიგი გააცნო ბატონმა გოჩა გავაშელმა

სსფ სტრუქტურულ რეფორმებზე ისაუბრა დარბაზის წევრმა თამაზ შილიკაძემ. მან დამსწრეთ გააცნო პროექტი სახალხო ფრონტის მმართველობითი სტრუქტურების შესახებ, რომელმაც ცხარე კამათი გამოიწვია.

გადაწყდა, პროექტი შესწორდეს და განსახილველად გავიდეს სახალხო ფრონტის ყრილობაზე რომელიც გაიმართება 25 აპრილს.

დარბაზზე სიტყვით გამოვიდა სსფ თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და ეროვნულ-უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი ნოდარ ნათაძე. მან ისაუბრა საქართველოს დელეგაციის ვიზიტზე ბელგიაში და დამსწრეთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზმა საგანგებოდ იმსჯელა გორის ხორცკომბინატში შექმნილ საგანგაშო სიტუაციაზე და მიიღო მიმართვა.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს, ჯანდაცვის სამინისტროს, ტელერადიო დეპარტამენტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“

## მიმართვა

როგორც ცნობილია, ჩერნობილის აფეთქების შემდეგ, გორის ხორცკომბინატის მაცივარში შემოტანილ იქნა 400 ტონა რადიაციული ხორცი. გორის სახალხო ფრონტის და სხვა პარტიების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დაბინძურებული ხორცი გატანილ იქნა, მაგრამ მაცივარი დღემდე დაუსუფთავებლად რჩება, რაც საშიშროებას უქმნის მოსახლეობას.

განიხილა რა გორში შექმნილი საგანგაშო სიტუაცია საქართველოს სახალხო ფრონტი მოითხოვს:

1) კომპეტენტურმა სახელმწიფო ინსტანციებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ რადიონუკლეიდებით დაბინძურებული მაცივრის გასუფთავება.

2) ჩატარდეს საფუძვლიანი რადიო-ქიმიური გამოკვლევა ახლომდებარე ტერიტორიისა;

3) აღრიცხვაზე აიყვანონ ის ადამიანები, რომლებსაც აღმოაჩნდებათ რადიაციული მოწამვლა. გამოიყოს კომპეტენტური კომისია, რომელიც კონტროლს გაუწევს აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას;

4) ეთხოვოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიაციის უსაფრთხოების ლაბორატორიას ჩაატაროს სრული გამოკვლევა.

5) რესპუბლიკის სანიტარულ-ეპიდემიურ სადგურს ეთხოვოს უზრუნველყოს გაზომვების შესაძლებლობა.

სსფ დარბაზი

# არასანქცირებული მიტინგი სანქცირებული ცემა-ტყეპით

5 აპრილს, კინოს სახლთან არასანქცირებული მიტინგი ჰქონდათ დანიშნული განდევნილი ხელისუფლების მომხრეებს. თუმცა, დამახასიათებელი შტრიხია, იმ დროს იქ შემთხვევით მოხვედრილ ადამიანს პოლიციელთა ალლუმი უფრო ეგონებოდა, რადგან ეს უკანასკნელნი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდნენ მომიტინგეებს.

მეგაფონმომარჯვებულმა ორატორმა ის-ის იყო დაიწყო — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიტინგს იწყებს“, რომ წესრიგის დამცველებმა იყოჩაღეს, ჯიქურ მიეტევნენ მომიტინგეებს და იქვე ხმაური საშიში მიტინგის კერა...

არასანქცირებული მიტინგის სანქცირებული ცემა-ტყეპა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდგომ კი ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სურათი გადაიშალა: ბრძოლისაგან დაღლილი პოლიციელები და ყვირილით მისავათებული მომიტინგეები ჯგუფურად საუბრობდნენ ჩვენი ცხოვრების აუკარგზე და ხმარებაში შემოსული კუპონების ბედ-იღბალზე.

კ. ლ.

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დასტამბულ წერილებში „ჩერნობილის რეციდივები გორში“ და „შეხვედრა გორში“, ლუიზა გულიანიძის ნაცვლად უნდა ეწეროს ლუიზა გურგენიძე.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 15 მან.